თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

P.S.

„ჩემო ქალაქო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“

## „არც ისე შორს ქალაქიდან, თუმცა — მოკლებული ცივილიზაციას“

„რაია, ბიძიკო, მაგი სოფლის დახმარების პროგრამა, ამიხსენი ერთი?!“

იხილეთ მე-3 გვერდზე



№ 1 (689) 3 - 9 თებერვალი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

# ვის და რატომ უნდა ქუთაისის „ბუტკაისად“ ქცევა?




„P.S. ფოტო“ (ეკა შალამბერიძე) ©

## ვისი ინტერესები იმალება გამჭვირვალე ჯიხურების უკან

ქუთაისში ბოლო დროს გამოჩენილი მეტალოპლასტმასის კონსტრუქციის ჯიხურები საზოგადოების და პოლიტიკოსების აზრთა სხვადასხვაობის საგანი გახდა. ნაწილს ჯიხურების გარეგნული იერსახე არ მოსწონს, ზოგი მასში არაჯანსაღ კონკურენციას ხედავს, პოლიტიკაში უფრო გარკვეულები კი ჯიხურების უკან კონკრეტული პიროვნებების ინტერესებზე ალაპარაკდნენ, ადგილობრივებს ჯიხურების უკან მდგომნი არ აინტერესებთ და წარსულში დაბრუნების ასოციაციას აპროტესტებენ. „ჯერ ერთი დიპლომი თუ აქვს, საერთოდ, ვინც ეს დააპროექტა, „ასეთი სიმახინჯეები 90-იან წლებში გვქონდა და უნდათ, იმ ავბედით წარსულში დაგვაბრუნონ, მალე, ალბათ, იმასაც უნდა ველოდეთ, რომ შაქარს და პურს ტალონებზე მოგვყიდიან,“ — ამბობს გამსახურდიას გამზირის მკვიდრი ნარგიზა ხმალაძე. ჯიხურების თემაზე პოლიტიკურად განსხვავებული სამი პარტიის მოსაზრებებიც კი ერთმანეთს ემთხვევა. „ნაციონალები“ და „ოცნების“ წარმომადგენლები გამჭვირვალე ჯიხურების უკან კონკრეტული პიროვნების ინტერესს ხედავენ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## ჭიათურის მაჟორიტარის განვლილი ერთი წელი



იხილეთ მე-3 გვერდზე

## რატომ იხდიან ერთნაირ ტარიფს „უწყლო“ და „წყლიანი“ აბონენტები?



იხილეთ მე-4 გვერდზე

### მანდატურის ნაცვლად, ბავშვთა დაცვის ოფიცერი

იხილეთ მე-2 გვერდზე

### პირველი თებერვლიდან C-ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე ფასდაკლებით სარგებლობისათვის რეგისტრაცია დაიწყო

იხილეთ მე-2 გვერდზე

### რჩევები ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთათვის

იხილეთ მე-6 გვერდზე

### რა ცვლილებები და პროცედურები იგეგმება თვითმმართველობის კოდექსის პროექტის განხილვისას

იხილეთ მე-5 გვერდზე

### თვითმმართველობის კოდექსის პროექტი სტრასბურგში განიხილეს

იხილეთ მე-5 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“;
ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

PSnews.ge

ISSN 1987-7056

სკანვორდი — გვ. 8 ჰოროსკოპი — გვ. 8

## პირველი თებერვლიდან C-ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე ფასდაკლებით სარგებლობისათვის რეგისტრაცია დაიწყო



მარიამ ჯაში

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ, მარიამ ჯაშმა C-ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე შეღავათით სარგებლობის წესი განმარტა.

ფასდაკლებით სარგებლობის უფლების მისაღებად, 1 თებერვლიდან (კვირის გარდა) უნდა მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს ან მის ტერიტორიულ სამსახურებს. წარმოადგინონ ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს ჩატარებული კვლევებისა და მკურნალობის კურსის ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციას.

სააგენტოში განცხადების ჩაბარების შემდეგ პაციენტის დოკუმენტაცია განიხილება „C-ჰეპატიტით დაავადებული პირებისათვის, C-ჰეპატიტის სამკურნალო მედიკამენტებზე შეღავათით სარგებლობის უფლების განმსაზღვრელი კომისიის“ მიერ. კომისიის გადაწყვეტილების შესახებ, საბუთების ჩაბარებიდან 1 თვის ვადაში ეცნობება განმცხადებელს.

**დადებითი პასუხის შემთხვევაში, 1 ივლისიდან მედიკამეტების შეძენა შესაძლებელი იქნება: თბილისი, იოსებიძის ქ. №60; ქუთაისი, ბროსეს ქ. №5; ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №32.**

**მთავარი რედაქტორი:** ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:** ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“).
ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია
№5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ა. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

# ვის და რატომ უნდა ქუთაისის „ბუტკაისად“ ქცევა?

## ვისი ინტერესები იმალება გამჭვირვალე ჯიხურების უკან

**პირველი** გვერდიდან

ქუთაისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **მამუკა მღვდელაძე:** „ამ ჯიხურების უკან გოჩა თევდორაძის ფინანსური ინტერესი დგას, თევდორაძე ის კაცი არ არის, რომ ფაქტები დატოვოს, ამიტომ ეს საქმე შესაბამისმა უწყებებმა უნდა გამოიძიონ.“

ჯიხურების უკან კერძო პირის ინტერესებს ხედავს საკრებულოს „ნაციონალი“ დეპუტატი **გია უკლებაც** და კითხვებზე პასუხის გაცემას ქალაქის საკრებულოსგან ითხოვს. „ოცნებაში ამბობენ, რომ ამ უსახური ჯიხურების უკან „პატრიოტი“ გოჩა თევდორაძე დგას, კეთილ ინებოს და თვითმმართველობამ ან დაადასტუროს ფაქტი, ან უარყოს. რას დაახრიგინებენ ამ ჯიხურებს ერთი ადგილიდან მეორეზე. ქალაქი შევარდნაძისეულ ბნელ ეპოქაში დააბრუნეს, აგვიხსნან, ხალხის და მცირე მეწარმის ხარჯზე, რატომ უნდა აკეთოს გოჩა თევდორაძემ მაყუთი?“

***

საიჯარო ხელშეკრულება ქუთაისში 20 ჯიხურის დადგმისათვის ნაკვეთების იჯარით გაცემის შესახებ ქალაქის მერიასა და შპს „მადლს“ შორის 2013 წლის 10 ოქტომბერს გაფორმდა. ქონება მოსარგებლეს იჯარის სახით აუქციონის გამოცხადების გარეშე გადაეცა. 20-ვე ნაკვეთზე, რომელიც, ძირითადად, ქალაქის ცენტრალურ უბნებშია განთავსებული, წლიური საიჯარო გადასახადი 1700 ლარს შეადგენს. ხელშეკრულების პირობის მიხედვით არსებული ქონება მეიჯარეს 7 წლის ვადით გადაეცა.

გასხვისებული მიწის ნაკვეთების მიზეროულ ფასზე საუბრობს პარტია „თავისუფალი საქართველოს“ იმერეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე **გოგი წულაია**: „კორუფციის ახალი ბუდეები დაგვიდგეს ჯიხურების სახით, რატომაც არა, 7 წლის ვადით, ამას იმიტომ აკეთებენ, რომ თავიანთი შვილების მომავალი გაიბზიალონ მაშინ, როდესაც გასაცოდავებულ გლეხს ბაზარში დგომისთვის დღეში 4-5 ლარს ახდევინებენ, ამ ჯიხურების მოსარგებლემ კვადრატულ მეტრზე 5 თეთრი უნდა გადაიხადოს?“

ერთი კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი დასახელებულ თანხაზე გაცილებით ძვირად რომ იყიდება, ამის მომსწრე მერიაში უახლოეს პერიოდებში ჩატარებული არაერთი აუქციონის მიხედვითაც ვართ. თუმცა ზემოთ ხსენებული ოცი ნაკვეთი თავს იმ მიზეზის გამოც „ვერ დაიფასებდა“, რომ ნაკვეთები საერთოდაც ტენდერის გარეშე გაიჯარდა და გაიჯარების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გამო შპს „მადლი“ „უკონკურენტო და იღბლიანი“ აღმოჩნდა.

მერიის ქონების მართვის სამსახურის უფროსის **ბესო ცქიფურიშვილისთვის** საიჯარო გადასახადი ნაკვეთთან შესაბამისობაშია და კითხვაზე: ხომ არ იქნებოდა უკეთესი, გამოცხადებულიყო ტენდერი, რაც მიწის ნაკვეთების საფასურს უფრო გაზრდიდა? ცქიფურიშვილმა გვიპასუხა: „მასე ისიც იქნებოდა უკეთესი, ბადრიჯანს ფრთები ჰქონდეს და მერცხალი იყოს, მაგრამ ასე არაა, რა იქნებოდა უკეთესი და არა, ეს საექსპერტო სამსახურმა უკეთ იცის, ეს ფასი მათ განსაზღვრეს და საკმაოდ შესაბამისობაშია ნაკვეთების ფართობთან.“

***

მერიის ქალაქდაგეგმარების და ურბანული განვითარების სამსახურის უფროსი **ანდრო მარჯანიშვილი** იჯარის გადასახადს არა, მაგრამ ჯიხურების დიზაინს იწუნებს: „მეწარმეების მიერ წარმოდგენილი პროექტი უფრო დახვეწილი იყო, წინასწარ შეუძლებელია, განჭვრიტო, როგორი იქნება ესა თუ ის პროექტი, ამიტომ ეს ერთგვარი საცდელი ტიპის ჯიხურებია და მისი კორექტირება აუცილებლად მოხდება.“

მოსახლეობას პროტესტი ჯიხურების დიზაინში ცვლილებების შეტანის მიუხედავად რომ ექნება, ამას ადგილობრივთა გამოკითხვებიც ცხადჰყოფს, „ჯიხური ჯიხურია, გინდ შაიტანე, გინდ გამაიტანე,“ — გვითხრა დასმული კითხვით განაწყენებულმა ბუხაიძის ქუჩის მკვიდრმა **სერგო გაბადაძემ**, — ყიდვა თუ მინდა, მაღაზიების მეტი რაა, კუბოსავით ბუტკაში არ ვიყიდო? რომელი კარგი წარსული ჩვენ გვქონდა, რომ გვაბრუნებენ? არ მინდა, ბატონო, გაახალგაზრდავება და არც ის მინდა, ქალაქი, ქუთაისის ნაცვლად „ბუტკაისს“ დაამსგავსონ.“

***

ქუთაისის „ბუტკაისით“ ჩანაცვლების იდეა არ მოსწონს ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის მოადგილეს, **ნორად მიქიაშვილს**, თუმცა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების გამო, ჯიხურების არსებობის აუცილებლობაზე საუბრობს. „არსებობს საიჯარო ხელშეკრულება მერიასა და შპს-ს შორის, რაც მეწარმის ინტერესების დაცვას გვავალდებულებს. ჯიხურები ქალაქში დარჩება. ერთადერთი, რაც შეიძლება მოხერხდეს, მათი ადგილმდებარეობის მონაცვლეობაა.“

არადა, აქამდე მარტივი ჭეშმარიტება გვეგონა, რომ „შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება.“

მაშინ, როდესაც ჯიხურების თემაზე განსხვავებული პოლიტიკური პარტიების პოზიციები ერთმანეთს ემთხვევა, განსხვავებული აღმოჩნდა თავად ქალაქის მერის მოვალეობის შემსრულებლის პოზიცია მისივე მოადგილის განცხადებისგან. მიქიაშვილი ჯიხურების გარანტირებულ არსებობაზე საუბრობს, **შოთა მურღულია** კი, მოიჯარეზე ქონების მართვის უფლების ჩამორთმევას არ გამორიცხავს.

„მეც არ ვარ მომხრე, ქალაქში ჯიხურები დავდგათ, ხელშეკრულებაში არის მთელი რიგი საკითხები, რაც საფუძვლიან გამოკვლევას საჭიროებს, მათი დაწვრილებით შესწავლის შემდეგ, საერთოდ შესაძლებელია, მეიჯარეს ქონების მართვის უფლება ჩამოერთვას.“

თუმცა იქამდე, როგორც თავად ქალაქელები აცხადებენ, ქუთაისის „ბუტკაისად“ ქცევის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს და ჯიხურების დახლებზე უკვე პროდუქტიც გამოჩნდა.

**ეკა შალამბერიძე**



„P.S. ფოტო“ (ეკა შალამბერიძე) ©

# მანდატურის ნაცვლად, ბავშვთა დაცვის ოფიცერი

**საქართველოს საჯარო სკოლებში მანდატურის სამსახური ნაწილობრივად რეორგანიზებული სახით ყალიბდება. მოსწავლეებისთვის თვალშისაცემი ახალი ფორმების გარდა, იცვლება მანდატურის სამსახურის დასახელებაც, კერძოდ, სამსახური ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიურ სამსახურად გარდაიქმნება, მანდატურებს კი ბავშვთა დაცვის ოფიცრები ერქმევათ.**

მანდატურის ინსტიტუტი, როგორც კონტროლზე ორიენტირებული უსაფრთხოების გარანტი, ზრუნვაზე ორიენტირებული უსაფრთხოების გარანტი უნდა გახდეს, ფიქრობს საქართველოს სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების პროგრამის მენეჯერი თამარ მოსიაშვილი, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში ინსტიტუტისთვის მაკონტროლებელი ფუნქციების შესუსტებისაკენ უკვე გადადგმულ ნაბიჯებს აფასებს: **„ერთი წლის წინ კანონში შევიდა ცვლილებები, რომელთა საფუძველზეც მანდატურს შეეზღუდა უფლებამოსილება, კერძოდ, მას აღარ ჰქონდა სკოლის შინაგანაწესის კონტროლის უფლება. ეს, მიმაჩნია, რომ ძალიან საინტერესო და კარგი გადაწყვეტილება იყო. ასევე გასულ წელს შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვითაც, 2014 წლიდან მანდატური უნდა დაექირავებინა თავად სკოლას. ამ ცვლილებებს შევაფასებდი ცალსახად პოზიტიურად.“**

თამარ მოსიაშვილისთვის, პროფესიული დაინტერესების მიუხედავად, ჯერჯერობით, ბოლომდე ნათელი არ არის, რა ფუნქციებით აღიჭურვება მანდატურის მემკვიდრე ბავშვთა დაცვის ოფიცერი უკვე მიმდინარე რეფორმის ფარგლებში. ამ საკითხის კომენტირებისას, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან ზარდალიშვილმა თქვა, რომ ბავშვთა დაცვის ოფიცრის უმთავრესი მოვალეობა სწორედ მოსწავლეზე ზრუნვა იქნება: **„ერთ-ერთი მთავარი და აუცილებელი იქნება პრობლემის პირველადი იდენტიფიკაცია, შემდეგი — ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა, ფსიქოლოგიური უსაფრთხოების დაცვა, რათა ბავშვი ფსიქოლოგიურ კომფორტში იყოს სკოლაში. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ძალადობის მსხვერპლის იდენტიფიცირებას და შემდეგ — სათანადო ზომების მიღებას. შემდეგი მათი ფუნქცია ეს გახლავთ ჩარევა რაღაც კრიტიკულ სიტუაციაში და მცირე კონფლიქტის საკუთარი ძალით მოგვარება. გარდა ამისა, მანდატურს დაემატა ფუნქცია, რომ მას შეუძლია სკოლის პერიმეტრის გარეთ გასვლა და სხვა.“**

ლევან ზარდალიშვილი ამბობს, რომ რეფორმა ამ ეტაპზე, ძირითადად, მანდატურთა კვალიფიკაციის ამაღლებას გულისხმობს. 1150 მანდატურიდან უკვე გადამზადებულია 300-ზე მეტი. მანდატურები სწავლობენ ადამიანის ძირითად უფლებებს, ბავშვთა უფლებებს, ბავშვთა ასაკობრივი განვითარების თავისებურებებსა და ეტაპებს, ფსიქიკური ჯანმრთელობის საფუძვლებს, რათა მათ პრობლემის შემჩნევა შეძლონ. გადიან მედიაციისა და კონფლიქტის მოგვარების სპეციალურ კურსს, სწავლობენ კომუნიკაციის ფსიქოლოგიის საფუძვლებს, ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის უნარებს და ასე შემდეგ.

გადამზადება სამეტაპიანია და საგამოცდო შეფასებას ითვალისწინებს. ბავშვთა დაცვის ოფიცერი მხოლოდ ის გახდება, ვინც წარმატებით დაძლევს საგამოცდო ტესტებს. გამოცდები 20 იანვრიდან იწყება.

პარალელურად, პარლამენტის საგაზაფხულო სესიის გახსნის შემდეგ გაგრძელდება საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობაც. საქართველოს მთავრობის მიერ პარლამენტში ინიცირებული კანონპროექტი მანდატურის ინსტიტუტის გარდაქმნას ითვალისწინებს, — გვითხრა განათლების სამინისტროს სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსმა დავით ლომინაშვილმა: **„კერძოდ, მანდატურს ემატება ორი მეტად მნიშვნელოვანი ფუნქცია, როგორებიცაა ფსიქოსოციალური მომსახურების გაწევა ბავშვებისა და სკოლაში დასაქმებული პირებისათვის და ასევე პროფორიენტაციაში ხელშეწყობა და დახმარება. ასევე მანდატურის სამსახურს ემატება ფუნქციები, რომლის თანახმადაც, ისინი უზრუნველყოფენ მანდატურების, მომავალში ბავშვთა დაცვის ოფიცრების, მომზადებას, გადამზადებას და პროფესიული დონის ამაღლებას. აღნიშნული კანონპროექტი, მთავრობის მიერ შეტანილი პარლამენტში, კანონმდებლობით დადგენილი წესით განიხილება.“**

მანდატურის სამსახურის ბავშვთა დაცვის, მედიაციისა და ფსიქოლოგიურ სამსახურად გარდაქმნის მიზნით, ცვლილებები, ძირითადად, ზოგადი განათლების შესახებ კანონში უნდა შევიდეს.

ამ მოსალოდნელი ცვლილებების საფუძველზე გათვალისწინებულია ბავშვთა დაცვის ოფიცრისათვის სავალდებულო მინიმალური ასაკობრივი ზღვრის დადგენაც, კერძოდ, თუ მანდატურად მუშაობა პირს 20 წლის ასაკიდან შეეძლო, ბავშვთა დაცვის ოფიცერი 23 წელზე ახალგაზრდა ვერ გახდება.

**ნონა მჭედლიშვილი**
**რადიო „თავისუფლება“**

# „არც ისე შორს ქალაქიდან, თუმცა — მოკლებული ცივილიზაციას"

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა ეწერისათვის, 2013 წლის სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში, დაახლოებით, 8000 ლარი იყო გამოყოფილი. აღნიშნული თანხა მოსახლეობის სურვილის მიხედვით უნდა დახარჯულიყო სოფელში. პრიორიტეტები, სოფელ ეწერის გამგებლის, დავით ქორიძის განცხადებით, თავად მოსახლეობამ შეარჩია.**



„P.S.ფოტო" (ჟანა ჟანელიძე) ©

## „რაია, ბიძიკო, მაგი სოფლის დახმარების პროგრამა, ამიხსენი ერთი?!"

„სოფლის დახმარების პროგრამის შესახებ მოსახლეობა საკმარისად იყო ინფორმირებული, მარტის თვეში ჩატარდა კრება, სადაც სურვილის მიხედვით მიიღო ხალხმა მონაწილეობა. საინფორმაციო ბუკლეტებიც კი დავარიგეთ მათი ინფორმირებისათვის. თავად შეარჩიეს პრიორიტეტები სოფელში: გზის მოხრეშვა, არხების გაწმენდა, სასაფლაოს შემოღობვა და ე.წ. „ბოგირის" განახლება. შესაბამისად, ეს ღონისძიებები განხორციელდა," — განაცხადა სატელეფონო საუბრისას სოფელ ეწერის გამგებელმა, გიორგი ქორიძემ.

პატარა ეწერის მოსახლეობა კი აცხადებს, რომ მათ საერთოდ წარმოდგენაც კი არ აქვთ, თუ რა არის „სოფლის დახმარების" პროგრამა და არანაირ კრებაში არ მიუღიათ მონაწილეობა, რაზეც დავით ქორიძე პასუხობს, რომ მათი სიზარმაცე და პასიურობა მისი ბრალი არ არის.

„რაია, ბიძიკო, მაგი, ამიხსენი ერთი?!" — მიპასუხა ძია ოთარმა შეკითვაზე, თუ როგორ განხორციელდა მათ სოფელში აღნიშნული პროგრამა. ხალხის თქმით, მათთვის არავის არ უთქვამს რაიმე კრების შესახებ.

„თუ რამის გაკეთება დაიწყეს ეწერში, ბოლომდე არაფერი არ მისულა, ეს ოცნება სულ არაფრის მაქნისი არ გამოდგა, კიდევ ძველები ჯობდნენ, რაღაცას მაინც აკეთებდნენ, ამათ კი ყველაფერი შუა გზაში მიატოვეს. ლაპარაკით კი ყველა ლაპარაკობს, შესრულება არავის არ უნდა. „ნაციონალები" გვენატრება უკვე, სანანებელი გაგვიხდა ჩვენივე არჩევანი და მეზობლებს ერთმანეთის გვერიდება, სულ ცოტა ხნის წინ „ქართული ოცნების" იდეებს რომ ვაპიარებდით და დღეს, ჩვენვე გვიწევს უკმაყოფილების გამოხატვა მათი „ვითომ" რეფორმების მიმართ," — განაცხადა სოფლის ერთ-ერთმა მცხოვრებმა ქალბატონმა.

მოსახლეობის მტკიცებით, მათ სოფელში არაფერი არ გაკეთებულა.

„დახმარება იყო თუ რა, მაგი არ ვიცით ჩვენ. მარტო რაღაც ადგილი შემოღობეს და ეგაა შვილო. ჩვენთვის რომ ეკითხათ, ალაგ-ალაგ კი არ მოვახრეშიებდით ამ გზას, დღეს რომ ღელეებშია ჩაწოლილი ეს ქვები და რაღაც მინდორს კი არ შემოვაღობინებდით, ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილი რომ დაარქვეს და ძროხები ბალახობენ, არამედ, პირველ რიგში, ნორმალური ასფალტის დაგებას მოვითხოვდით, წვიმაში ტბორები გვიდგება და ძლივს ვმოძრაობთ, ყველგან გააკეთეს გზა და აქ კი ნახევრამდე მოვიდნენ და მიატოვეს. ჩვენ რა, ხალხი არა ვართ?

გაზის გაკეთება დაიწყეს „ნაციონალებმა" და არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე ისიც შუა გზაში შეჩერდა. გაზის მილები ამოყრილია ალაგ-ალაგ და დანარჩენი კი თითქმის წელიწადია, რაც კონკრეტულ ოჯახებშია დატოვებული, სულ გვპირდებიან მოვალთ და გავაკეთებთო, მაგრამ არავის მოუკითხავს," — აცხადებს სოფლის მოსახლეობა.

სოფელ ეწერის გამგებელმა კი ჩვენთან საუბრისას განაცხადა, რომ გზები საკმაოდ მოიხრეშა და თუ დღეს მსგავს სიტუაციაშია, ეს არ არის ცუდი ხარისხის ბრალი, ეს წვიმის შედეგია და ბუნებას ვერ აკონტროლებს. უნდა დაგებულიყო ასფალტი, თუმცა არჩევნებმა შეაფარხა ეს პროცესი და შემდეგ კომპანია „სოკარმა" გადაიბარა გზის პროექტი და, შესაბამისად, მას ევალება გზის დაგება, რაც აუცილებლად განახლდება.

თუმცა ფაქტია, რომ გზა სოფელ ეწერის მონაკვეთზე სავალალო მდგომარეობაშია და მათი არჩეული დეპუტატის სავალი გზაც კი ორმოებით არის „დამშვენებული".

სოფლის მოსახლეობის განცხადებით, „ქართული ოცნების" წარმომადგენელი გიორგი კახიანი უმრავლესობით აირჩიეს დეპუტატად, თუმცა თანამდებობაზე დანიშვნიდან ცოტა ხანში თბილისში წავიდა და ხალხისათვის არაფერი არ გაუკეთებია — „როგორც კი გაინაღდა სკამზე ადგილი, მაშინვე დაკრა ფეხი და ქალაქში გაიქცა, საერთოდ არ დაინტერესებულა რა გვიჭირს, მის ჭიშკრამდე მისასვლელი გზა მაინც გაეკეთებინა, ნუთუ არ აწუხებს ეს პრობლემა?!"

მოსახლეობას ვკითხეთ, დახმარების თხოვნით თუ მიმართეს სოფლის გამგებელს, თუმცა ჩვენდა გასაკვირად, მათ საერთოდ არ იცოდნენ, ვინ იყო ეწერის გამგებელი და თვალით არასდროს უნახავთ, მიუხედავად იმისა, რომ დავით ქორიძე არ არის ახალი დანიშნული თანამდებობაზე.

ყველაზე მეტად გაზის პრობლემა აწუხებთ სოფელ ეწერში. დავით ქორიძის თქმით კი, აუცილებლად განახლდება გაზიფიცირება და საბოლოო სახეს 2014 წელს მიიღებს. უბრალოდ, არჩევნებმა შეაფერხა მისი გაყვანა.

სოფელი პატარა ეწერი ქალაქ სამტრედიიდან 6-7 კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. მოსახლეობა 83 კომლს შეადგენს. „არც ისე შორს ქალაქიდან, მაგრამ მოწყვეტილი ცივილიზაციას", – ასე აფასებს დღეს სოფლის მოსახლეობა მათ პირობებს, ვინაიდან გარდა იმისა, რომ „არა — გზა, არა — გაზი, არა — გაწმენდილი არხები, და ა.შ. არ არსებობს არც ტრანსპორტი. სოფელს უკვე 25 წელია, ერთგულად ემსახურება საბჭოთა კავშირის დროს გამოშვებული ე.წ. „პაზის" მარკის ყვითელი ავტობუსი, რომელიც საქართველოში, დაახლოებით, 7-8 წელია ამოღებულია გამოყენებიდან, თუმცა, სოფელში გადაადგილებისათვის სანატრელ საშუალებად ქცეულა. მისი მძღოლი ზურაბ კალაძე კვირაში 6 დღე მართავს ავტობუსს და ქალაქთან აკავშირებს სოფლის მოსახლეობას. დიდი ყურადღებით ელიან მის გამოჩენას ეწერში. ჩვენც გაგვაოგნა მისმა პუნქტუალურობამ. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნული ავტობუსი ძალიან ძველია, შესაბამისად გაუმართავია და „პატარა ეწერის" „ვითომ მოხრეშილი" გზაც დღითიდღე აზიანებს მას.

ჟურნალისტის ასვლა ძალიან გაუკვირდათ ტრანსპორტში, თუმცა სასურველი სტუმარი აღმოვჩნდი. მათ ბევრი პრობლემა გაგვიზიარეს და იმედოვნებენ რეაგირებას სახელმწიფოსგან. მოსახლეობასთან ერთად გამოვცადე საკუთარ თავზე ავტობუსით მგზავრობის დროს შემაწუხებელი „მოსიარულე რკინის" ხმა და გაუსაძლისი რყევა. ეს უნდა გამოსცადო, რომ შეგაწუხოს და აღგაშფოთოს, სულ დამავიწყდა რომ 21-ე საუკუნეა და ევროპისაკენ ვილტვით დაუოკებლად.

ტრანსპორტთან დაკავშირებით სოფლის გამგებელმაც გვითანაგრძნო, გაიღიმა და განაცხადა, რომ, ალბათ, პერსპექტივაში აქვს მოსახლეობას ცივილური სამარშუტო ტაქსი გამოეყოს, თუმცა არ იცის, როდის.

სოფლის მოსახლეობა მათ პრობლემებზე შესაბამის რეაგირებას ითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, აპირებენ პარლამენტის შენობის წინ აქცია მოაწყონ და ასე მიაწვდინონ ხმა სრულიად საქართველოს — „სანამ პარლამენტის წინ არ ავიტუზებით და ხელის შემშლელ ფაქტორად არ ვიქცევით პარლამენტარებისათვის, მანამ არ ჩაგვთვლიან ადამიანებად, ცოტა ხანში თუ არაფერი შეიცვალა, მერე ჩვენ ვიცით," — აცხადებენ სოფლის მცხოვრებლები.

**ჟანა ჟანელიძე**

**სტატია მომზადებულია „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის" პროექტის ფარგლებში**

# ჭიათურის მაჟორიტარის განვლილი ერთი წელი

**ჭიათურის დეპუტატი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მაჟორიტარია. მართალია, მასზე გავრცელდა ინფორმაცია, თითქოსდა სხდომებს არ ესწრება, მაგრამ ეს ცილისმწამებლური ინფორმაცია მალევე მიეცა დავიწყებას, უსაფუძვლობის გამო. ჩვენ მალხაზ წერეთელთან აქტიური ურთიერთობა გვაქვს და მოცემულ ინტერვიუში განვლილი ერთი წლის ანალიზი ვთხოვეთ მას.**



მალხაზ წერეთელი

**— ბატონო მალხაზ, მოჩვენებითი ხომ არ არის, ჭიათურის გამგებელსა და მაჟორიტარს შორის კოორდინაცია არსებობს და თქვენს შორის ფარულ დაპირისპირებაზეც კი არაფერი მსმენია...**

— კოალიცია „ქართული ოცნების" ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჭიათურის მუნიციპალიტეტში საკადრო ცვლილებები შედარებით უმტკივნეულოდ გატარდა. მუნიციპალიტეტის ახალი გამგებელი და დეპუტატიც ამ გუნდის წევრები არიან, რამაც ხელი შეუწყო მათ კოორდინირებულ საქმიანობას. თუმცა არის რიგი საკადრო გადაწყვეტილებები, რომელსაც, როგორც დეპუტატი, პრინციპულად არ ვეთანხმები, აზრთა სხვადასხვაობა გუნდური მუშაობის პრინციპებს და ფარგლებს არ გასცილებია.

**— არ შეიძლება, არ გკითხოთ ჭიათურის წყლით უზრუნველყოფის საკითხზე, სულ კეთდება წყლის სისტემები, მაგრამ ჭიათურა ან უწყლოდაა, ან ისეთი წყლით მარაგდება, რომელიც არ უნდა მოიხმაროს ადამიანმა...**

— ჭიათურის მუნიციპალიტეტს უმძიმეს ტვირთად აწევს მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების საკითხი. მოგახსენებთ, რომ სასმელი წყლის 40-50% კარსტული წარმოშობისაა. მაღაროზე სხვადასხვა სამუშაოების დროს ხდება წყლის დაკარგვა, ასევე დაბინძურება მარგანეცით და სხვა მძიმე მეტალებით, რის გამოც მისი გამოყენება არათუ სასმელად, არამედ ტექნიკური მიზნებისათვისაც შეუძლებელია. მდინარე ყვირილისა და სასმელი წყლის დაბინძურების ძირითადი წყაროა „ჯორჯიან მანგანეზის" მიერ წარმოებული სამთო სამუშაოები. მათ მიერ წლების განმავლობაში უგულველყოფილია ყველა სანიტარული თუ ეკოლოგიური ნორმების დაცვა. ეს პრობლემა არ არის ახალი ჭიათურის რაიონისათვის. ათეული წლების წინ მიმდინარეობდა მუშაობა სასმელი წყლის რაიონის მომარაგების კუთხით, საკითხი საჭიროებს გლობალურ შესწავლას. ამჟამად „ჯორჯიან მანგანეზის" ბალანსზეა 16 წყალსადენი და 250 კმ მიწისქვეშა წყალგაყვანილობის სისტემა, რომელიც გაპარტახებული, ამორტიზებული და განადგურების პირასაა მიყვანილი. მიმდინარეობს ქონების გამიჯვნის პროცესი. ერთხელ და სამუდამოდ, წყალმომარაგებას გამოუჩნდება პატრონი, ვინც იზრუნებს მის აღდგენა-რეაბილიტაციაზე. მინდა დანანებით აღვნიშნო, რომ წინა ხელისუფლების მიერ წყალმომარაგების გაუმჯობესების კუთხით დახარჯულ მილიონებს მიემატა ახალი მილიონები და სახეზე გვაქვს ჭიათურის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის გაუარესებული მომარაგება. ჩემი აზრით, საჭიროა, შესრულებული სამუშაოებისათვის გახარჯული მილიონების მიზნობრიობის დასაბუთება. აღნიშნულ საკითხის დაყენებას ვაპირებ შესაბამის ორგანოებში.

**— უკვე არაერთხელ დაფიქსირდა ქვათაცვენის შემთხვევა. იღბლად, ამ მოვლენას არ მოჰყოლია ფატალური შემთხვევები, რას იტყოდით ამ საკითხზე?**

— როგორც მაღალმთიანი რაიონისათვის, ძალზე მნიშვნელოვანია ქვათა ცვენის საკითხი. ჭიათურა მდებარეობს კლდეთა ქვაბულში და ხშირია ქვათა ცვენა, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის როგორც მოსახლეობას, ისე სატრანსპორტო მოძრაობას. ქალაქის გამგეობამ გასულ წელს მნიშვნელოვანი სამუშაო შეასრულა საყრდენი კედლებისა და დამცავი ჯებირების აღდგენის თვალსაზრისით, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. საკითხი საჭიროებს მასშტაბურ შესწავლას და სერიოზული ინვესტიციების განხორციელებას.

**— თქვენი ერთწლიანი დეპუტატობის ანგარიში საინტერესო იქნება მკითხველისთვის...**

— 2013 წლის მანძილზე გავმართე 58 საჯარო შეხვედრა, აქედან 1 შეხვედრა გაიმართა ჭიათურის კულტურის ცენტრში, სადაც წარვდექი მოსახლეობის წინაშე ერთწლიანი მუშაობის ანგარიშით. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს დეპუტატის ბიურო, რომელიც დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით და ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებენ მოქალაქეთა მიღებას, მათი პრობლემების განხილვას, შესაძლებლობის ფარგლებში ამ პრობლემათა ადგილზე მოგვარებას, ან ზემდგომ ინსტანციებში მათ გადამისამართებას. აქვე შეუძლიათ მიიღონ იურიდიული თუ სხვა სახის კონსულტაციები. ჩემს ბიუროს მომართა 1097 მოქალაქემ, შემოვიდა 735 წერილი, აქედან 551-ს გაეწია შუამდგომლობა და გადაიგზავნა სხვადასხვა სამინისტროსა და ორგანიზაციებში. 184 წერილს კი ადგილზე გაეცა ზეპირი თუ წერილობითი პასუხი. დაფინანსებულ იქნა ჩემი 15 შუამდგომლობა. 2013 წელს, როგორც მაჟორიტარ დეპუტატს და დეპუტატის ბიუროს, ქუთაისის რეგიონალურ ფილიალთან გაფორმებული ჰქონდა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა ბიუროს თანამშრომელთა ტრენინგი, შეხვედრა-სემინარები, კონსულტაციები. თანამშრომლობა იყო აქტიური, ნაყოფიერი. „საია" გვეხმარებოდა გადაუჭრელი საკითხების მოგვარებაში და მივესალმები თუ აღნიშნული თანამშრომლობა გაგრძელდება.

**— რას თვლით თქვენს ყველაზე დიდ წარმატებად პარლამენტარის პოზიციიდან?**

— ჩემთვის, როგორც დეპუტატისათვის მნიშვნელოვან წარმატებად მივიჩნევ რეგრესის პენსიის აღდგენას. საკითხთა მიმართებაში ჩემი პოზიცია ჯერ კიდევ 2007 წელს იქნა დაფიქსირებული, როგორც ჭიათურის რაიონის საკრებულოს წევრის პოზიცია. 2007-2008 წელს რესპუბლიკური პარტიის მხარდაჭერით მოვიგეთ პროცესები სამი ინსტანციის სასამართლოში, შეწყვეტილი რეგრესის პენსიის აღდგენის და დავალიანების გასტუმრების მიზნით. მიუხედავად ამისა, წინა ხელისუფლების პერიოდში არ მოხდა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება. საკითხს აქტუალურობა არ დაუკარგავს ამ წლების განმავლობაში, მაგრამ მისი აღსრულება მოხდა ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ და ეს იყო ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი წინასაარჩევნო დაპირება.

ჩემთვის მტკივნეულ თემად რჩება გარდაცვლილ რეგრესის პენსიონერთა საკითხი, რომელთა ოჯახებიც 2007 წლამდე ღებულობდნენ რეგრესის პენსიას. ამ ოჯახებისათვის, რომლებიც, დაახლოებით, 150-ია, ქვეყნის ხელისუფლებას არ უნდა გაუჭირდეს თანადგომა. ვსარგებლობ შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით კიდევ ერთხელ მივმართავ შესაბამის უწყებებს, გამოვიჩინოთ პოლიტიკური ნება და საბოლოოდ მოხდეს ამ საკითხის მოგვარება. ასევე, რეგრესის პენსია უნდა დაენიშნოთ ჭიათურის სამთომაშველისა და წყალკანალის თანამშრომლებსაც.

გაგრძელება **მე-6 გვერდზე**

# რატომ იხდიან ერთნაირ ტარიფს „უწყლო" და „წყლიანი" აბონენტები?

**უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ჩატარებულმა ყველა გამოკვლევამ, ნაციონალურ, რეგიონალურ თუ ლოკალურ დონეზე, გვიჩვენა, რომ პრობლემათა შორის პირველობას არავის უთმობს აბონენტთა სასმელი წყლით მომარაგება.**



საქართველოში, სასმელი წყლის სიუხვის მიუხედავად, ვერც ერთი დასახლებული პუნქტი ვერ დაიტრაბახებს მისი ნორმალური უზრუნველყოფით. თანახმად მიღებული ნორმატიული აქტისა — „სასმელი წყლის მიწოდებისა და მოხმარების წესები"-სა, რომელიც მიღებულია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (სემეკ) მიერ 2008 წლის 26 ნოემბერს (დადგენილება №32), მუხლი 2-ის „ძირითადი პრინციპები" პუნქტი 1 ავალდებულებს მიმწოდებელს, მომხმარებელი უზრუნველყოს „შესაბამისი ხარისხის სასმელი წყლის უსაფრთხო, უწყვეტი და საიმედო წყალმომარაგება კანონმდებლობის, ამ წესების და მისი შესაბამისი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესაბამისად". დღეისათვის საქართველოში არსებული წყალმომარაგების ქსელების მქონე ვერც ერთი კომპანია ვერ აკმაყოფილებს ნორმატიული აქტით ჩამოყალიბებულ აღნიშნულ ძირითად პრინციპებს.

იგივე მდგომარეობაა იმერეთის რეგიონში და, რა თქმა უნდა, ქუთაისის წყალმომარაგების სისტემაშიც. სწორედ აღნიშნულ საკითხს გვსურს შევეხოთ კონკრეტულად ქუთაისის პირობებისათვის.

უპირველეს ყოვლისა, წარმოგიდგენთ საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში ქუთაისის წყალმომარაგების როლს თავისი სიმძლავრის მიხედვით:

- გაერთიანებულ კომპანიას მის სამოქმედო არეალში ჰყავს 244 ათასი მომხმარებელი;
- ქუთაისის წყალმომარაგების სერვისცენტრში კი გაერთიანებულია 67,8 ათასი აბონენტი, ანუ 27% გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიისა;
- ქუთაისის შემდეგ მოდის ქვემო ქართლის სერვისცენტრი 30,2 ათასი აბონენტით, რაც შეადგენს 12,4%-ს კომპანიის აბონენტების მთლიანი რაოდენობისას.

რამდენადაც მონაცემები გვიჩვენებს, წყალმომამარაგების ქსელი აღემატება კომპანიაში შემავალი რეგიონების ქსელს და მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას.

არსებული პრობლემებიდან ამჯერად განვიხილავთ ქუთაისის პირობებისათვის ორ გამოკვეთილ პრობლემას:

1. არაპარტნიორული ურთიერთობა მომხმარებელთან;

2. ინვესტიციების განხორციელებაში საზოგადოების ჩართულობაზე უარის თქმა, შესაბამისად — მისი დაბალი ეფექტურობა.

ქუთაისის სასმელი წყლით მომარაგების ქსელი იყოფა რიონის მარჯვენა და მარცხენა ნაპირის მიხედვით, რომელიც ხასიათდება მკვეთრად განსხვავებული გეოგრაფიული, ტექნიკური და აბონენტების მდგომარეობით. მარჯვენა ნაპირის აბონენტების საკმაოდ დიდი რაოდენობა ცხოვრობს მაღლივ კორპუსებში, რომლისთვისაც დამახასიათებელ პრობლემას წარმოადგენს მაღალ სართულებზე წყლის მიწოდება (მეექვსე სართულის შემდეგ), საქალაქო ქსელის მეშვეობით, შექმნილი სიტუაციის გამო, მაღლივი სართულების აბონენტები იძულებულნი არიან, შექმნან საკუთარი დამოუკიდებელი წყალმომარაგების ქსელი შემდეგი სქემით; სარდაფში დადგან ტუმბო, სახლის სახურავზე რეზერვუარი, შეაერთონ ისინი მილსადენით და რეზერვუარიდან მიიღონ სასმელი წყალი ბინაში თვითდინებით. ერთ-ერთი ასეთი ბინა განთავსებულია ქუთაისში, ნუცუბიძის ქუჩის №2, რომლის მობინადრეები 2012 წლის დეკემბრიდან უსაბუთებენ წყალმომარაგების კომპანიას, რომ წყლის ტარიფი არ უნდა იყოს ერთნაირი იმათთვის ვინც წყალს იღებს უშუალოდ ქსელიდან და იმათთვის, ვისაც უხდება დამატებითი ხარჯების გაღება მისი სამზარეულოში გამოყენებისათვის.

მობინადრეები იძულებული გახდნენ თავიანთი სიმართლის დასაბუთებისათვის ჩაერთოთ არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელმაც თავის მხრივ მიაკითხა სემეკთან არსებულ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს. ეს უკანასკნელი საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას შეეკითხა — „მართალია ეს?"

პასუხი ასეთი იყო (წერილი №525/1 თარიღით 01/02/2013) „... კომპანია ახორციელებს სასმელი წყლის უწყვეტ და უსაფრთხო წყალმომარაგებას სემეკ-ის №32 დადგენილების შესაბამისად".

ასეთმა პასუხმა ძალიან ააღელვა აბონენტები და მათ განაგრძეს ბრძოლა უკვე მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს მეშვეობით, სადაც რამოდენიმეჯერ მოუსმინეს კომპანიის წარმომადგენლებს, დაწვრილებით შეისწავლეს საკითხი, გააკეთეს შესაბამისი გაანგარიშებები, რომელიც წარუდგინეს, მაგრამ კვლავ სიცრუე უარესი, ვიდრე ადრე იყო - პასუხად (წერილი №755/1 თარიღით 19/11/2013) „კომპანია არ არის უფლებამოსილი, ერთპიროვნულად შეცვალოს წყლის ტარიფი..."

ვინ თხოვდა ტარიფის შეცვლას, ითხოვდნენ მხოლოდ გადასახადის შემცირებას, თავისი დანახარჯებიდან გამომდინარე.

ბრძოლა არ დამთავრებულა. მაჟორიტარი დეპუტატის ბიურომ თხოვა თვით სემეკს, გაერკვია ეს არალოგიკური ტყუილების საკითხი და აღედგინა სამართლიანობა რასაც ნუცუბიძის ქუჩის №2-ის მაღალ სართულებზე მაცხოვრებელი აბონენტები ითხოვდნენ. სამართლიანობისათვის აირჩია ხალხმა ეს ხელისუფლება.

**ვიმედოვნებთ, სამართალი გაიმარჯვებს**

ინვესტიციების განხორციელებაში საზოგადოების ჩართულობაზე (პროექტის განხილვები, მშენებლობის მონიტორინგი) უარის თქმა ნათლად გამოჩნდა 2007-2010 წლებში განხორციელებული პროექტის პროცესში, რის უარყოფით შედეგებს ახლა გავლენას ვიმკით.

ქუთაისის წყალმომარაგების სარეაბილიტაციო პროექტის განხორციელებისათვის 2007 წელს გამოიყო 12 585 140 ევრო, საიდანაც „მილენიუმ ჩელენჯერის" (ა.შ.შ.) მიერ გამოყოფილი გრანტი შეადგენდა 4 256 200 ევროს. თავის მხრივ, ეს თანხა იყოფოდა ორ ნაწილად: ქსელის რეაბილიტაციისათვის (1 749 000 ევრო) და ინდივიდუალური მრიცხველებისათვის (2 317 200 ევრო) და კანალიზაციის ღია ჭების ავარიული შეკეთებისათვის (200 000 ევრო).

ჩვენმა ორგანიზაციამ, მრავალი მოთხოვნისა და მცდელობის მიუდევად, ფინანსური გეგმის საინჟინრო გადაწყვეტა საპროექტო ნახაზების სახით ვერ მოიპოვა ვერც ქალაქში, ვერც დედაქალაქში და ვერც ინვესტორებიდან.

შედეგად პროექტის დამთავრების შემდეგ გაირკვა, რომ ვერ გავიგეთ:

- სად გაქრა, ან რას მოხმარდა ფინანსურ გეგმაში გათვალისწინებული 200 ათასი ევრო და, საერთოდ, რატომ მოხვდა ეს სტატია ფინანსურ გეგმაში, ვისი დაკვეთა იყო, ან ვისი ბრძანება, სად წავიდა, თუ არ იყო გასაკეთებელი;
- საფინანსო გეგმაში განსაზღვრულია, „მილენიუმ ჩელენჯერის" ფინანსური უზრუნველყოფით 2,3 მლნ ევრო უნდა მოხმარებოდა ინდივიდუალური ეზოების მქონე, ინდივიდუალური პროექტებით აშენებული სახლების მფლობელებს (რომლებიც წარმოადგენდნენ წყალმომარაგების ქსელის აბონენტებს) ინდივიდუალური მრიცხველებით აღჭურვისათვის.

მცირედით შევჩერდებით ამ უკანასკნელი პუნქტის ისტორიაზე:

სანამდე იდეა პროგრამის სახეს მიიღებდა, მოხდა ქუთაისის წყალმომარაგების შესწავლა სპეციალურად მოწვეული საკონსულტაციო კომპანიის მიერ. JACOBS GIBDD კომპანიამ განსაზღვრა პრიორიტეტები, რომელთა შორის ერთ-ერთი პირველადი, აუცილებელი და სასწრაფო მოსაგვარებელი იყო აღრიცხვიანობის საკითხი სამივე სექტორში. კვლევაში გათვალისწინებული იყო საქართველოში მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რამაც განაპირობა 22 ათასამდე მრიცხველის დადგმა, გრანტის დაფინანსებით, მრავალბინიანი სახლების გარდა, ყველა ინდივიდუალურ სახლებში.

აქ დაიწყო ის, რასაც არავინ ელოდა სტრუქტურული „რევოლუცია" - ქუთწყალკანალის გაერთიანება ახლადჩამოყალიბებული „დასავლეთის წყალი"-ს დაქვემდებარებაში, შემდეგ „ დასავლეთის წყალის" გაერთიანება „ აღმოსავლეთ წყალთან" და მათ ხარჯზე „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" ჩამოყალიბება 2010 წლის იანვარში, რამაც ისე აბნია საქართველოში და მათ შორის ქუთაისშიც წყალმომარაგების საკითხები, რომ დღესაც (და დიდ ხანსაც) ვერ მოუყრიან თავს.

ასეთ ვითარებაში ბიზნესსტრუქტურამ (კომპანიამ) იზრუნა ძირითად ბიზნესინტერესებზე (მოგების გაზრდა) და არა სოციალურ საკითხზე (რაზეც ჩვენს მაგივრად ზრუნავს ა.შ.შ.) — 21 ათასი შეძენილი მრიცხველის უფასოდ დაყენებისათვის (როგორც განსაზღვრული იყო პროგრამით).

კომპანიამ ქუთაისში დააყენა 7840 ცალი ინდივიდუალური მრიცხველი, ხოლო დანარჩენი კი გაუგებარი გზებით დააყენა, სათანადო ანაზღაურებით, ქუთაისის გარეთ. 2011 წელს კი დაიწყო ქუთაისში ინდივიდუალური აღრიცხვის კვანძების დაყენება სემეკის განსაზღვრული ტარიფით — არაუმეტეს 100 ლარის გადახდით ერთ კვანძზე.

საბოლოოდ კომპანიამ ქუთაისელებს მოპარა ნაჩუქარი 13 ათასი აღრიცხვის კვანძი და ახლა მათ დადგმის საფასურს — 100 ლარს დამატებით ახდევინებენ.

ამდენად, პროგრამის, პროექტის საზოგადოებრივი მონიტორინგის არარსებობამ ქუთაისელებს დააკარგვინა ის ცივილური, სოციალურად დასაბუთებული, საზოგადოებისათვის ბიზნესსტრუქტურისათვის ერთნაირად აუცილებელი, ერთ სისტემად ჩამოყალიბებული პროექტის დიდი ნაწილი, რომელსაც აფინანსებდა ამერიკა, MCG-ის სახით, და შვედეთი, SIDA-ს სახით, ხოლო სახელმწიფო სტრუქტურებმა - ადგილობრივი ხელისუფლებიდან დაწყებული სემეკით დამთავრებული, საზოგადოება ვერჰარ დაიცვა.

საკმაოდ მტკივნეული და საჭირბოროტო პროცესია არსებული ქსელის მოვლა-პატრონობაც, რომლის უგულვებელყოფამ მიგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე და მის გამოსასწორებლად ვხარჯავთ ათეულობით მილიონ ლარს და ჯერ კიდევ შორს ვართ სასურველიდან. აღნიშნულის ნათელი მაგალითია გელათის ქუჩის №47 და №49-ში განთავსებული აბონენტების ჯერანაშვილის, ბასილაძის, ჩივაძის, ბეჟუაშვილის მდგომარეობა, რომელთა კანალიზაციის ფეკალი მოედინება ქუჩის სავალ ნაწილზე.

პრობლემაა, რომ აღნიშნული ქუჩის ამ მონაკვეთზე, რთული რელიეფური მდგომარეობის გამო, უმრავლეს მობინადრეს მოწყობილი აქვს ქვითკირის ყორე გამოყენებული საყრდენ კედლად, რაც აკავებს მათი ეზოების ნიადაგს. უმარვლესობა დეფორმირებულია და ავარიაულია. მათ შორის ყველაზე რთულ მდგომარეობაშია №47 და №49 სახლები, რომლიდან გამომავალი საკანალიზაციო მაგისტრალი დეფორმირებულია და მასში გამავალ ფეკალს ვეღარ ატარებს, რის გამოც იგი ჟონავს გამორეცხილ საყრდენ ყორეში და მიედინება ქუჩაში, რის გამოც საძაგელი სუნი დგას, საშიშროებაა ეპიდემიის და, საერთოდ, ქმნის ავარიულ მდგომარეობას ყველასათვის.

ვიმედოვნებთ, სტატია მისცემს დამატებით ბიძგს ადგილობრივ თვითმმართველობას აღნიშნული საკითხის გასააქტიურებლად და დაიწყება მრავალწლიანი პრობლემის აღმოფხვრა.

საბოლოოდ გვსურს, შევახსენოთ შესაბამის უწყებებს, რომ, თუ ეს პროცესები არ შეიცვალა დადებითისაკენ, ისე, როგორც ამას მოითხოვს ნამდვილი დემოკრატიის ელემენტალური საფუძვლები, თუ საზოგადოება არ ჩაერთო საინვესტიციო პროექტების მონიტორინგში, არ განხორციელდა არსებული მმართველი კოალიციის წინასაარჩევნო დაპირება სამართლიანობის შესახებ, წავალთ იმ გზით, რაც იყო 2012 წლის 1 ოქტომბრამდე.

მივმართავთ სამთავრობო სტრუქტურებს — ნება გვიბოძეთ, ერთხელ ჩვენს დამოუკიდებლობის პერიოდში არ გავექცეთ ჩვენს წარსულ არჩევანს, არამედ — მშვიდად მივიდეთ იმასთან, ვისაც ჩავთვლით საჭიროდ პატიოსანი და სამართლიანი არჩევნების გზით, ხოლო არჩეულმა ხელისუფლებამ გულწრფელად აკონტროლოს თავისი წინასაარჩევნო დაპირებები.

**„ახალი სამოქალაქო აზროვნება +"**

**სტატია მომზადებულია პროექტის „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა" ფარგლებში**

This project is funded by the U.S. Embassy Tbilisi. The contents of this publication are those of the Author(s) and do not necessarily represent the views of the Department of State.

პროექტი დაფინანსებულია აშშ-ის საელჩოს მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის თვალსაზრისს.

Government of the United States

# თვითმმართველობის კოდექსის პროექტი სტრასბურგში განიხილეს



**თვითმმართველობის კოდექსის პროექტი სტრასბურგში, ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის პირველმა პირებმა განიხილეს.**
**საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი და მთავრობის კანცელარიის თვითმმართველობებთან და რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირაკლი მელაშვილი ვიზიტის ფარგლებში ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის გენერალურ მდივანს, ანდრეას კიფერს შეხვდნენ.**

როგორც შეხვედრიდან გაირკვა, ევროსაბჭოს მაღალჩინოსნები საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტის ძირითად პრინციპებს დეცენტრალიზაციისა და თვითმმართველობებისთვის რეალური უფლებამოსილებების მინიჭების თაობაზე იზიარებენ. ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი საკუთარ რეკომენდაციებს თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით საქართველოში უახლოეს პერიოდში გამოაგზავნის. ქართული დელეგაცია იმედოვნებს, რომ რეკომენდაციები კოდექსთან მიმართებით პოზიტიური იქნება.

„საქართველოს მთავრობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ითანამშრომლოს ევროსაბჭოსთან განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება თვითმმართველობის რეფორმას. განვიხილეთ როგორც მთლიანად კოდექსი, ისე მისი ცალკეული მუხლები. შემიძლია ვთქვა, რომ ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესი მთლიანობაში მხარს უჭერს იმ გზას, რომელსაც საქართველოს მთავრობა ირჩევს“, — განაცხადა შეხვედრის შემდეგ თენგიზ შერგელაშვილმა. ამასთან, ირაკლი მელაშვილის განცხადებით, უახლოეს დღეებში საქართველოში გამოიგზავნება დასკვნა, რომლის მიღებაც კანონპროექტის მეორე მოსმენამდე ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

ევროსაბჭოს ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლებების კონგრესის გენერალური მდივნის, ანდრეას კიფერის განცხადებით, კონგრესი თვალყურს ადევნებს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმას, რომლის მიზანსაც რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების გაძლიერება წარმოადგენს: „შარშან მონიტორინგის ანგარიშის გაცნობის შემდეგ, კონგრესმა რეკომენდაციები შეიმუშავა, ხოლო ამჟამად, მონიტორინგის შემდგომი ღონისძიებების სახით, მუდმივ კონტაქტში ვიმყოფებით. ჩვენ მზადყოფნას გამოვთქვამთ, გავეცნოთ საკანონმდებლო დოკუმენტის საბოლოო ვერსიას და განვიხილოთ საპარლამენტო კენჭისყრის შედეგები მთავრობის წარმომადგენლებთან ერთად. მინისტრის მოადგილე ჩვენი კონგრესის მომდევნო შეხვედრაზე უკვე მოვიწვიეთ“, — განაცხადა ანდრეას კიფერმა.

**წყარო: „კულტურის საერთაშორისო ცენტრის“ მიერ მომზადებული ელექტრონული ბიულეტენი №6**

**http://www.lsg.ge/uploadedFiles/files/kodeqsi%20meeqvse.pdf**

# რა ცვლილებები და პროცედურები იგეგმება თვითმმართველობის კოდექსის პროექტის განხილვისას

**ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კოდექსი, რომლის მიხედვითაც რამდენიმე თვეში არჩევნები უნდა ჩატარდეს, ჯერჯერობით, შეთანხმებული და მიღებული არ არის, თუმცა, მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ იანვრის ბოლოს პარლამენტში განხილვა დაიწყება და კოდექსსაც მალე მიიღებენ.**

**პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე გია ჟორჟოლიანი** ამბობს, რომ თვითმმართველობის კოდექსის პროექტში ბოლო ვარიანტს სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დამატებია, მაგრამ დრო საკმარისია, რათა ალტერნატიული წინადადებები კვლავ დააყენოს როგორც ოპოზიციამ, ასევე არასამთავრობო სექტორმა:

„წინადადებები განხილვამდე 24 საათით ადრე უნდა იყოს დაყენებული. როგორც მე ვიცი, **24 იანვარს** იწყება რიგგარეშე სესია და თვითმმართველობის კოდექსის განხილვაც მაშინ დაიწყება. ის ვარიანტი, რაც მეორე მოსმენით გამოიტანა მთავრობის წარმომადგენელმა, არსებითად შეთანხმებული იყო მთავრობასთან და მასში რაიმე ცვლილება არ იგეგმება. თუმცა, პლენარულ სხდომაზე რა იქნება, არ ვიცი. რაც შეეხება განცხადებებს, რომ თითქოს პრემიერსა და პარლამენტის თავმჯდომარეს შორის იყო ამ საკითხზე რაიმე დისკუსია, ვერ დავადასტურებ. ეს არ იყო დისკუსია უსუფაშვილსა და ღარიბაშვილს შორის, იყო საერთო დისკუსია და მასში როგორც უმრავლესობის წარმომადგენლები, ასევე სხვადასხვა პარტია მონაწილეობდა“, — ამბობს ჟორჟოლიანი.

მისივე განმარტებით, პარლამენტში თვითმმართველობის კოდექსის განხილვის საკითხი პროცედურულად შემდეგნაირად წარიმართება:

„მეორე მოსმენით მთავრობამ უკვე წარმოადგინა პროექტი, პლენარული სხდომა ამ წარმოდგენის შემდეგ შეწყდა. ახლა უკვე მუხლობრივი განხილვაა დარჩენილი. შემდეგ იქნება კენჭისყრა და მესამე მოსმენა. რაც შეეხება კანონპროექტის ჩავარდნის შესახებ მოსაზრებებს, ვერავის დავეთანხმები, რომ შეიძლება კანონპროექტი ჩავარდეს. თუმცა, წინასწარ ვერაფერს გეტყვით, ყველა დეპუტატს თავისუფალი მანდატი აქვს, მაგრამ არა მგონია, კანონპროექტი ჩავარდეს“, — აღნიშნავს ჟორჟოლიანი.

თვითმმართველობის კოდექსში აუცილებლად შესატან ცვლილებებზე საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, თუმცა, კონკრეტულად რა ცვლილებებს დათანხმდება პარლამენტი, მათთვის უცნობია.

**„საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი, ევროპის საბჭოს ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფის წევრი დავით მელუა** აცხადებს, რომ თვითმმართველობის კოდექსში 70-მდე შენიშვნა იყო შესატანი, მათგან რამდენიმე — არსებითად მნიშვნელოვანი:

„დაახლოებით 70-ზე მეტი ცვლილება იყო საკომიტეტო მოსმენებზე და იქედან რა არის კოდექსში შესული, ჯერჯერობით, არ ვიცი. საბოლოო ტექსტი თუ არ გამოქვეყნდა, კონკრეტულ საკითხებზე კომენტარის გაკეთება გამიჭირდება. რაც შეეხება ჩვენს წინადადებებს და რეკომენდაციებს, მიგვაჩნია, რომ უფლებამოსილების სფერო დასახვეწია, დასამატებელია ოთხი უფლებამოსილება. ქონების გადაცემის დარგში იყო ცვლილებები საჭირო. შავით თეთრზე უწერიათ, რომ მუნიციპალიტეტმა, თვითმმართველობამ უნდა გადასცეს ქონება ცენტრალურ ხელისუფლებას და იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკრებულო არ მიიღებს გადაწყვეტილებას, 45 დღის ვადაში ეს ქონება გადაცემულად ითვლება; ეს უნდა შეეცვალათ. ასევე ზედამხედველობაში იყო შესატანი ცვლილებები რევიზიის ჩატარებასთან დაკავშირებით, რაც უნდა ამოღებულიყო კოდექსიდან. ჩვენ ახლა ვწერთ დასკვნის სახით ამ რეკომენდაციებს და თითოეულ დეპუტატს და კომიტეტს ცალცალკე გავუგზავნით“, — აცხადებს მელუა.

კოდექსში აუცილებლად ჩასასწორებელ საკითხებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრება აქვთ საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენლებსაც.

**საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი, პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წევრი გია თევდორაძე** აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ძირითადი შენიშვნა ქონებრივ და ფისკალურ თემატიკას ეხება:

„უახლოეს დღეებში, „ნაციონალურ მოძრაობას“ ექნება პოლიტსაბჭოს სხდომაზე შეკრება, სადაც კონკრეტულად ჩამოვაყალიბებთ ჩვენს პოზიციებს თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით. ჩვენი მთავარი შენიშვნა კვლავ ეხება ქონებრივ და ფისკალურ თემატიკას, რაც, ვფიქრობთ, რომ კანონპროექტის ყველაზე ნაკლოვანი მხარეა. ასევე გვაქვს გარკვეული შენიშვნები არჩეული გამგებლის და მერის გადაყენების პროცედურებთან დაკავშირებით. ლოგიკის ნორმებში ვერ ჯდება ის საკითხი, რომ ხალხის მიერ პირდაპირი წესით არჩეული მერი და გამგებელი საკრებულომ გადააყენოს. იმპიჩმენტის პროცედურა აბსოლუტურად სხვა არის და პრეზიდენტის მიერ ხორციელდება. პირდაპირ არჩეული მერის და გამგებლის გადაყენების წესი კი, იგნორირებას უკეთებს ხალხის მიერ გაკეთებულ არჩევანს. ასევე არის ბევრი ნიუანსური საკითხი, რაც დახვეწას მოითხოვს. თუ კოდექსის განხილვა პარლამენტში ჩავარდება, ეს იმას ნიშნავს, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ იგნორირება გაუკეთა მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას ქართული ამომრჩევლის წინაშე, რომ ის თავისი მოქმედების პერიოდში ხელს შეუწყობდა დეცენტრალიზაციის პროცესს. იქნება თუ არა ეს ოპოზიციისთვის წამგებიანი, ამაზე წინასწარ კომენტარის გაკეთება გამიჭირდება“, — აღნიშნავს თევდორაძე.

მისივე თქმით, დეცენტრალიზაციის პროცესი საფუძვლიანად უნდა დაიწყოს და ხელისუფლებამ კეთილგონიერება უნდა გამოიჩინოს, რომ მნიშვნელოვან საკითხებზე შეთანხმება კონსესუსით მოხდეს:

„იმ 9 წლის მანძილზე, როდესაც ჩვენ ვიყავით ხელისუფლებაში, საჭირო იყო უფრო კონცენტრირებული ხელისუფლება, რადგან სხვა გამოწვევები იდგა ქვეყნის წინაშე. ახლა კი ვფიქრობთ, რომ ჩვენი საზოგადოება არის განვითარების იმ ეტაპზე, როდესაც ეს პროცესი საფუძვლიანად უნდა დაიწყოს და მეტი დეცენტრალიზაცია მოხდეს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ეშინია რეგიონებისთვის გარკვეული უფლებამოსილებების გადაცემის, ირჩევს ძალიან ცუდ გზას ქვეყნისთვის, რაც, საბოლოო ჯამში, ავტორიტარიზმზე გადის. გარკვეული ცვლილებები შევთავაზეთ ხელისუფლებას და იყო მცდელობა, რომ ერთობლივად მიგვეღო გადაწყვეტილება ბევრ საკითხთან დაკავშირებით. შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა არსებობდეს უმრავლესობასა და უმცირესობას შორის ამ კანონპროექტზე, მაგრამ უმრავლესობას კეთილგონიერება უნდა ეყოს, რომ კონსესუსით მივიღოთ ის კანონი, რომელიც იდეალური თუ არა, წინგადადგმული ნაბიჯი მაინც იქნება დეცენტრალიზაციის და ქვეყნის განვითარებისკენ“, — აცხადებს თევდორაძე.

თვითმმართველობის კოდექსის სამთავრობო პროექტში ცვლილებების შეტანის ნაკლებ ალბათობას ხედავს **ევროპის საბჭოს ადგილობრივი და რეგიონული თვითმმართველობების კონგრესის ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის ექსპერტთა საბჭოს წევრი საქართველოდან, „ადგილობრივი დემოკრატიის ქსელის ცენტრის“ თავმჯდომარე დავით ლოსაბერიძე.** მისი განცხადებით, თვითმმართველობის კოდექსის ძირითადი პრინციპები უკვე მიღებულია:

„მუხლობრივი განხილვა დეტალურად ახლა დაიწყება მეორე მოსმენაზე. მესამე მოსმენა კი რედაქციული ხასიათის შენიშვნებს დაეთმობა, რომელიც ფორმალობაა, მაგრამ აუცილებელია, რადგან სტილისტურად უნდა ჩასწორდეს კოდექსის პროექტი. მნიშვნელოვანი ცვლილება, რაზეც მოსახლეობამ არაფერი იცის, კოდექსში არ იგეგმება. პრინციპების მიხედვით, მე რამდენადაც ვიცი, რაც ამოსაღები იყო კოდექსიდან, უკვე ამოღებულია, გვაქვს კომპრომისული ვარიანტი. მცირე იურიდიული საკითხები შესაძლოა, შეიცვალოს, მაგრამ პრინციპი არ შეიცვლება, თუ საერთოდ არ იქნა კანონპროექტი ჩაგდებული, რისი შანსიც ნაკლებია. ყველაფერი შეიძლება მოხდეს და მათ შორის, არის მცირე შანსიც ამ კანონპროექტის ჩაგდების, მაგრამ მაშინ ამ ხელისუფლებამ უნდა თქვას, რომ მთლიანად წინა ხელისუფლებების კურსს აგრძელებს და კატეგორიულად ეწინააღმდეგება რეფორმას, რაც პირდაპირი დარტყმა იქნება სახელისუფლებო რეიტინგზე. თუმცა, ხელისუფლებას აქამდე ამის სურვილი არასდროს გამოუთქვამს. თუ არჩევნები ძველი სისტემით ჩატარდება, ეს ოპოზიციური ძალებისთვის სრულ კატასტროფას ნიშნავს, რადგან ყველაფერს დაკარგავენ, მმართველი პარტია კი ვერაფერს მოიგებს. ამის შეგნება და გააზრება, მგონი, ყველას კარგად მართებს“, — აცხადებს ლოსაბერიძე.

შეგახსენებთ, რომ 2013 წლის 27 დეკემბრის პლენარულ სხდომაზე პარლამენტმა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტის შესახებ მოხსენება მოისმინა, ხოლო პლენარულ სხდომაზე მის განხილვას მუხლობრივად იანვარში, რიგგარეშე სესიაზე დაუბრუნდება.



**მოამზადა საქართველოს მედია მონიტორინგის ცენტრმა (GMMC), ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.**

**ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის მოსაზრებებს.**

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

# რჩევები ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების მსურველთათვის

**საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით, 2014 წლის 10 თებერვალს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა დაინიშნა.**

**რისთვის და როგორ უნდა ჩავაბაროთ ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა?**

ვისაც გსურთ, რომ გახდეთ ნოტარიუსი, ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, ჩააბაროთ ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

გამოცდაზე რომ გახვიდეთ, აუცილებელია, იყოთ საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე და გქონდეთ უმაღლესი იურიდიული განათლება.

**როგორ მოვემზადოთ გამოცდისთვის?**

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ტესტირების ფორმით ორ ეტაპად – ზოგად უნარ-ჩვევებსა და პროფესიულ ნაწილში.

პირველი ეტაპი მოიცავს ტესტირებას ზოგად უნარ-ჩვევებში (ვერბალურ და მათემატიკურ ნაწილებში);

მეორე ეტაპზე ჩატარდება ტესტირება პროფესიულ ნაწილში. ტესტები შედგენილია ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის საფუძველზე და მოიცავს შემდეგ ძირითად თემატიკას:

საკონსტიტუციო სამართალი;

სამოქალაქო სამართალი;

სამოქალაქო სამართლის პროცესი;

ადმინისტრაციული სამართალი;

სამეწარმეო სამართალი;

ნოტარიატის შესახებ კანონი.

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის პროგრამა, გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია „ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარების წესის, საკვალიფიკაციო საგამოცდო კომისიის დებულებისა და ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო საგამოცდო პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №68 ბრძანებით.

აღნიშნული ბრძანება შეგიძლიათ, მოიძიოთ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე (www.notary.ge), „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“ ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge).



**სად შევიტანოთ საბუთები კონკურსში მონაწილეობის მისაღებად?**

ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდას ატარებს საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი.

საბუთები უნდა გააგზავნოთ 5 თებერვლამდე ელექტრონული ფორმით (დასკანერებული) შემდეგ მისამართზე: trainingcenter@justice.gov.ge

**წარსადგენი დოკუმენტები:**

- უმაღლესი იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის – დიპლომის, ასლი;
- ავტობიოგრაფია (CV);
- პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ფერადი ფოტოსურათი (3X4);
- გამოცდაში მონაწილეობისათვის კანონით დადგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (საფასურის ოდენობა – 150 ლარი).

**თანხა უნდა გადაიხადოთ შემდეგ ანგარიშზე:**

სსიპ „საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 204423230

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშის ნომერი: GE62BG0000000522975000

**ვინ თავისუფლდება საკვალიფიკაციო გამოცდისგან?**

უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი სამოქალაქო, საერთაშორისო კერძო სამართლის ან სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციალობაში, თავისუფლდება ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდისგან.

უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელსაც ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა ან ეკავა მოსამართლის თანამდებობა, აბარებს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდის მხოლოდ უნარ-ჩვევების ნაწილს და თავისუფლდება პროფესიული ნაწილის ჩაბარებისგან.

# ჭიათურის მაჟორიტარის განვლილი ერთი წელი

**მე-3** გვერდიდან

**— ეკოლოგიური თვალსაზრისით ჭიათურისთვის რა გაკეთდა ბოლო წელიწადში?**

— ჩემი ინიციატივით ივლისში ქალაქ ჭიათურაში გაიმართა საქართველოს გარემოს დაცვის კომიტეტის გასვლითი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ კომიტეტის თავმჯდომარე გია ცაგარეიშვილი, ასევე – გარემოს დაცვის მინისტრის მოადგილე ნინო შარაშიძე და სამინისტროს სხვადასხვა უწყების წარმომადგენლები. კომიტეტის სხდომაზე განხილული იყო მანგანუმის მადნის ღია კარიერული წესით მოპოვებით გამოწვეული გარემოზე მიყენებული ზიანის მასშტაბები, წლების განმავლობაში არგანხორციელებული რეკულტივაციის, ტყეების უკანონოდ ჩეხვის საკითხები. მოხდა ადგილზე ღია კარიერების და უკანონოდ გაჩეხილი ტყეების დათვალიერება. აღნიშნულს მოჰყვა რეაგირება გარემოს დაცვის ზედამხედველობის მიერ, ადგილზე იქნა შესწავლილი კანონდარღვევის ფაქტები და „ჯორჯიან მანგანეზი“ დაჯარიმდა 2100 000 ლარით, ასევე დაჯარიმდა ტყის ლიცენზიატი კომპანია.

**— ჭიათურის პედაგოგებს „ქართუმ“ სადაზღვევო პაკეტი შესთავაზა, ამ შეთავაზებას აქვს განსაკუთრებული მომხიბლაობა, სახელწოდების გარდა?!**

— ჭიათურის პედაგოგთა დაზღვევას „ქართუ ჯგუფის“ მიერ მივესალმები იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო პაკეტის მომსახურება შესაძლებელი იქნება პაციენტისათვის მისაღებ ყველა სამკურნალო დაწესებულებებში. ამ სადაზღვევო პაკეტით, რომელიც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით შეთავაზებული პირობებისაგან დიდად არ განსხვავდება, არ უნდა მოხდეს ავადმყოფთა გადაბირება საჩხერის რაიონულ საავადმყოფოში.

სხვათაშორის, „ქართუს“ მინიმალურ პაკეტში ორსულობა-მშობიარობა ფინანსდება 200 ლარით, ხოლო საყოველთაო დაზღვევით — 600 ლარით. ასევე არ მივესალმები მასწავლებელთა და ოჯახის წევრების გაფრთხილებას, რომ საყოველთაო პროგრამის ფარგლებში დარეგისტრირდნენ ქალაქ საჩხერეში. ამ პროცესმა თავის დროზე უარყოფითი შედეგი მოიტანა. მოხდა ადამიანთა მასობრივი გადაწერა ჭიათურიდან საჩხერის რაიონში (3500 ადამიანამდე). ეს ხალხი სინამდვილეში ცხოვრობს და მოღვაწეობს ჭიათურაში. დაკარგულია მათი, როგორც ამომრჩევლების, ხმაც. ჭიათურაში ცხოვრობს 18 000 მოსახლე, ჰყავს 14800 ამომრჩეველი, ხოლო მუნიციპალიტეტში ცხოვრობს 55 000 ადამიანი და ჰყავს 46 000 ამომრჩეველი. მუნიციპალიტეტი არის რესპუბლიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამრეწველო კერა, საბადოზე 3700 მაღაროელი ასრულებს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიშ სამუშაოებს, მაღალია ავადობის და ტრამვატიზაციის რისკები. მუნიციპალიტეტი იმსახურებს თანამედროვე სამკურნალო დაწესებულების ადგილზე არსებობას, ხოლო მაღალტექნოლოგიური სამკურნალო სერვისების განხორციელება მოხდეს საჩხერის რაიონულ საავადმყოფოში.

**— სიტყვამ მოიტანა და ეგებ გვითხრათ, რა ხდება ჭიათურაში ჯანდაცვითი საკითხების მოსაგვარებლად?**

— მუნიციპალიტეტში შექმნილია ძალზე მძიმე, კრიტიკული სიტუაცია ჯანდაცვის მხრივ, „ჯეოჰოსპიტალსის“ 25-საწოლიანი კერძო კლინიკა მინიმალურადაც ვერ უზრუნველყოფს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას. ახლა, როცა ბენეფიციართა ძირითადი ნაწილი (უმწეო, პენსიონერი, ბავშვთა, სასწრაფო სამედიცინო სამსახური) გადასულია საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამაში, კერძო კომპანიამ შესაძლებელია, კლინიკის ფუნქციონირება გააჩეროს, რაიონი შეიძლება დარჩეს საერთოდ საავადმყოფოს გარეშე. 2013 წელს „ჯორჯიან მანგანეზის“ დაზღვეულთა მიმართვიანობა კლინიკა „ფერომედში“, რომელიც მდებარეობს ქალაქ ზესტაფონში, შეადგინა 22 000 ვიზიტი ლაბორატორიულ-დიაგნოსტიკური და ექიმთან კონსულტაციის მიზნით. გარდა ამისა, წლის განმავლობაში იმავე კლინიკაში გატარებული იქნა 9000 სტაციონარული შემთხვევა. ანუ მარტო ერთ საავადმყოფოში 80 კმ-ის გავლით განხორციელდა 31 000 ვიზიტი ჭიათურის რაიონიდან.

**— რას იტყოდით ჯანდაცვის მინისტრის მიერ გაკეთებულ კომენტარზე ჭიათურის საავადმყოფოსთან დაკავშირებით?**

— ვერ გავამართლებ ჯანდაცვის მინისტრის ლოგიკას, რომ 15 კილომეტრში, საჩხერეში, არის საავადმყოფო და ეს მოაგვარებს პრობლემას. ქალაქ საჩხერის საავადმყოფო წლებია, უკვე არსებობს, მაგრამ პრობლემა ამით არ მოგვარებულა და თანდათან მდგომარეობამ კატასტროფულ ზღვარს მიაღწია.

ჭიათურა ისტორიულად არის ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი კერა ჯანდაცვის კუთხით. ჯერ კიდევ 1903 წელს ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს მეშვეობით აქ ფუნქციონირებდა იმ დროისათვის თანამედროვე ტიპის 24-საწოლიანი საავადმყოფო. 110 წლის შემდეგ „ნაციონალების“ ხელისუფლებამ გააუქმა ჭიათურაში 200 საწოლზე არსებული სამედიცინო საავადმყოფო და აგვიშენა 25-საწოლიანი კლინიკა! ჯანდაცვის კერის არსებობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს რაიონის პერსპექტივისათვის, თითოეული ჭიათურელი არის მოლოდინში, რომ ქალაქს აღუდგება თვითმმართველი ერთეულის სტატუსი და მათთვის ეს ღირსების საქმეა.

**— ახლა კი წერეთლის ყველაზე დიდ საზრუნავზე, მანგანუმის წარმოებაზე გვითხარით...**

— 2007 წლის 1 იანვრიდან მადნის მოპოვებას აწარმოებს კომპანია „ჯორჯიან მანგანეზი“, რომელსაც ეს უფლება მინიჭებული აქვს 40-წლიანი ლიცენზიით. კომპანია საკუთრებაში ფლობს ზესტაფონის ფეროს ქარხანას და ვარციხეჰესს. სამწუხაროა, რომ ბოლო წლებში კომპანია უპირატესობას ანიჭებს ღია წესით მადნის მოპოვებას, რამაც ისედაც მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობა რაიონში კატასტროფის პირას მიიყვანა.

12 სოფელი ამთავრებს თავის არსებობას, იჩეხება ტყეები, იკარგება სახნავ-სათესი მიწები, საძოვრები, ინგრევა გზები და სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებები. არ ხდება დაზიანებული ნიადაგის რეკულტივაცია (აღდგენა). აქვე აღვნიშნავ, რომ ხდება მარგანეცის დატაცება, მისი უკანონო მოპოვების გზით, რითაც, პირველ რიგში, ზარალობს ადგილობრივი ბიუჯეტი. აღნიშნული ფაქტები ჩემს მიერ მიწოდებულია შესაბამის უწყებებში.

გარდა ამისა, მაღაროებში და ქარხნებში არის გაუსაძლისი შრომის პირობები, მონური ანაზღაურება. უგულებელყოფილია შრომის უსაფრთხოების წესები. არ არის შესაბამისი მანქანა-დანადგარები, შემოყვანილი ახალი ტექნიკა ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს. მაგალითად: 14 მტვირთავი მანქანიდან, რომელიც ახლახან ჩინეთიდან ჩამოიყვანეს, მუშაობს მხოლოდ ერთი. მუშა-მოსამსახურეები არ არიან უზრუნველყოფილი სპეც. ტანსაცმლით და შესაბამისი სანიტარულ-ჰიგიენური პირობებით. კომპანიის ხელმძღვანელობამ მაღაროთა გაერთიანებულ პროფკავშირს უარი უთხრა შეთავაზებულ კოლექტიური ხელშეკრულების განხილვაზე, სამაგიეროდ, ცვლილება მოახდინა „ჭიათურის საბადოში შრომის ანაზღაურების შესახებ“ 2007 წლის №25-ე ბრძანებაში, რითაც კიდევ უფრო შემცირდება მუშა-მოსამსახურეთა ისედაც მწირი ანაზღაურება.

კომპანია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში 5 გადასახადის სახით იხდის 1,5 მილიონს, აქედან ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის სახით წლიურად 250-280 ათას ლარს. ჩემს მიერ ინიცირებული იქნა კანონპროექტი, რომელიც შეეხება ცვლილებებს საქართველოს კანონში „ბუნებრივი რესურსების სარგებლობის შესახებ“. კანონპროექტი მომზადდა და ორი მოსმენით მიღებულია მთავრობასთან და საბადოს მფლობელთან 7-თვიანი კონსულტაციის შემდეგ. იმედი მაქვს, მესამე მოსმენა საგაზაფხულო სესიების გახსნისთანავე მოხდება, რითაც ჭიათურის ბიუჯეტს საკუთარი შემოსავლები რამდენიმე მილიონი ლარით გაეზრდება.

გაზიარებული იქნა ჩემს მიერ მოწოდებული წინადადება და უახლოეს პერიოდში ვგეგმავ გაფართოებულ შეხვედრას მაღაროთა პროფკავშირებსა და რაიონის ხელმძღვანელებს შორის, ეკონომიკის, ფინანსთა და გარემოს დაცვის სამინისტროს წარმომადგენლების ადგილობრივი და რესპუბლიკური მედია საშუალებების მონაწილეობით. მიმდინარეობს დეტალების დაზუსტება.

**— ბატონო მალხაზ, პირადად დაინტერესებული ვარ ჭიათურაში შშმ პირების მდგომარეობის გაუმჯობესებით. როგორც ვიცი, ქალაქში 0-18 წლის 90-მდე ასეთი პირია და დღის ცენტრის გახსნას ვაპირებთ რამდენიმე ადამიანი, რას გვეტყოდით ამის შესახებ?**

— რაც შეეხება ქალაქ ჭიათურაში შეზღუდულ შესაძლებლობის პირთათვის დღის ცენტრის გახსნას, საკითხი საკმაოდ აქტუალურია. მითუმეტეს, საქართველოს მთავრობის მიერ სოციალური დაცვის ახალ პაკეტში ამ პირთა მიმართ იგეგმება სხვადასხვა პროექტების განხორციელება. მუნიციპალიტეტის გამგეობასთან სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდების და შესაბამისი უწყებების კოორდინირებით შესაძლებლად ვთვლი ამ თემის გააქტიურებას, ჩვენი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, თუმცა ინიციატორების მხრიდანაც უნდა იყოს პრობლემის არსის დეტალური დასაბუთება. ჩემი მხრიდან მაქსიმალურად იქნება მხარდაჭერა კანონიერების ფარგლებში!

**როლანდ ხოჯანაშვილი**

# რეკომენდაციები თვითმმართველობის საკითხებზე მთავრობისა და პარლამენტისთვის

**„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ “კვლევის — „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის პროექტის ანალიზი, საერთაშორისო პრაქტიკა და რეკომენდაციები“ პრეზენტაცია გამართა, რომელსაც მთავრობის, ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.**
**კვლევა განხორციელდა „ეროვნული წვლილი დემოკრატიისთვის“ (NED) ფინანსური მხარდაჭერით.**



**„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ აღმასრულებელმა დირექტორმა ნინო ლომჯარიამ** თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით პრობლემურ საკითხებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ამგვარი საკითხები კოდექსში ისევ რჩება, რაზეც მთავრობის და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ: „განსაკუთრებით საყურადღებოა მერებისა და გამგებლებისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი. ასევე, ხელისუფლებას აქვს ინიციატივა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში საჯარო მოხელეების რიცხვი შემცირდეს, თუმცა, მიზეზი გაუგებარია. ამასთან, გვაქვს შეკითხვები ბიუჯეტთან დაკავშირებით. გარდა ამისა, გვინდა წინ წამოვწიოთ სათემო თვითმმართველობის საკითხი, რაც კოდექსის საბოლოო ვარიანტში გათვალისწინებული არ არის. ჩვენი რეკომენდაციები ემყარება საერთაშორისო პრაქტიკას, იმ ქვეყნების გამოცდილებას თვითმმართველობების რეფორმების კუთხით, რომელთაც ეტაპობრივად მოახდინეს სოციალისტური და საბჭოთა სისტემის გარდაქმნა დემოკრატიული თვითმმართველობის ფორმად და რომელთა გამოცდილებაც ყველაზე ახლოსაა ჩვენ რეალობასთან. რეკომენდაციები, ასევე ითვალისწინებს შემოთავაზებული ცვლილების შესაბამისობას ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპულ ქარტიასთან,“ — აცხადებს ლომჯარია.

წარმოდგენილი კვლევის მიხედვით, ყველაზე დიდ გამოწვევას თვითმმართველი ერთეულების საზღვრების დადგენა და დროულ ვადებში მათთვის სტატუსის მინიჭება წარმოადგენს. როგორც **დამოუკიდებელმა მკვლევარმა ნინო სამველიძემ** პრეზენტაციისას აღნიშნა, თვითმმართველი ერთეულების ზრდისა და მათი დაკომპლექტებისას რამდენიმე რეკომენდაციაა გასათვალისწინებელი: „შესაბამისმა სამთავრობო კომისიამ ეფექტურ ვადებში წარუდგინოს მთავრობას მუნიციპალიტეტების გაყოფასთან დაკავშირებული წინადადებები და ადგილობრივი არჩევნების დანიშვნამდე ერთი თვით ადრე მოხდეს მუნიციპალიტეტების საზღვრების დადგენა, მათთვის სტატუსის მინიჭება. ამასთან, მუნიციპალიტეტების გაყოფა უნდა წარიმართოს ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიური კონსულტაციების ფონზე.

რაც შეეხება თვითმმართველი ერთეულების აღმასრულებელი ორგანოს პირდაპირი წესით არჩეული მერის და გამგებლისთვის უნდობლობის გამოცხადებას, მიგვაჩნია, რომ ეს მექანიზმი საერთოდ უნდა ამოიღონ კოდექსის პროექტიდან“, — აღნიშნა სამველიძემ.

„მისასალმებელია ის ფაქტი, რომ თვითმმართველობების ბიუჯეტი იზრდება, თუმცა, ვფიქრობთ, რომ აუცილებელი იქნება შესაბამისი კვლევის წარმოება იმის შესაფასებლად, თუ რამდენად გაიზრდება წარმოდგენილი ცვლილებების (გადასახადების ახალი ფორმულებით, ასევე, კაპიტალური ტრანსფერების, გათანაბრებითი ტრანსფერის გადანაწილების მოდიფიცირებით) შედეგად ბიუჯეტი და რამდენად საკმარისი იქნება ადგილობრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ასევე, უნდა შეფასდეს, რამდენად უზრუნველყოფილი იქნება სოფლების და დაბების ფინანსური დამოუკიდებლობა ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფის შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ დროულ ვადებში მოხდეს გადასაცემი ქონების განსაზღვრა და მისი გადაცემის უზრუნველყოფა ადგილობრივი თვითმმართველობებისათვის“, — აღნიშნულია ორგანიზაციის მიერ ჩატარებულ კვლევაში.

გარდა ამისა, კვლევის ორგანიზატორებმა ყურადღება გაამახვილეს საშტატო ერთეულების შემცირების საკითხზე და აღნიშნეს, რომ მთავრობამ უნდა განუმარტოს საზოგადოებას, რას ემსახურება კადრების შემცირება და, თუ ეს დაკავშირებულია ადმინისტრაციული ხარჯების შემცირებასთან, რა პრიორიტეტებზე მოხდება დაზოგილი თანხების გადანაწილება. აგრეთვე, კონკრეტულად უნდა განისაზღვროს კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც მოხდება დასაქმებულ მოხელეთა რაოდენობის შემცირება.

სამხარეო თვითმმართველობა, რომელიც ყოველთვის იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას და სეპარატიზმის საფრთხეებთანაც იყო გაიგივებული, ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევისას, პრობლემატური არ აღმოჩნდა.

„მიგვაჩნია, რომ რეგიონალური მმართველობისთვის თვითმმართველობის ფუნქციების მინიჭება არ არის ფედერალიზმის გამოხატულება, რადგან ეს სისტემა მოქმედებს ევროპის ბევრ სახელმწიფოში და ასოცირდება რეგიონული მმართველობის ეფექტურობასთან. მაგრამ მიუხედავად ამისა, კანონპროექტის ავტორებმა საპატრიარქოს, ოპოზიციური პარტიების, ცალკეული მოქალაქეების პოზიციის გათვალისწინებით, გადაწყვიტეს მასში ცვლილებების შეტანა, რამაც გააუქმა სამხარეო დონეზე თვითმმართველობის ელემენტები. კანონპროექტის ბოლო ვერსიის თანახმად, სამხარეო საკონსულტაციო საბჭოს მიზანია, უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის ინტერესების წარმოდგენა და გათვალისწინება შესაბამისი ტერიტორიის განვითარების დაგეგმვისა და მისი განხორციელების პროცესში. თუმცა, გაუგებარია, რეალურად რა სარგებლის მომტანია საბჭოების შემოღება, თუ მათ მხოლოდ საკონსულტაციო ფუნქცია ექნებათ. ნაკლებ სავარაუდოა, რომ სამკაციანმა შემადგენლობამ უზრუნველყოს უმცირესობათა და საკრებულოს სხვა წევრების (და არა მარტო, თავმჯდომარის ან მისი მოადგილის) აზრის გათვალისწინება. ვფიქრობთ, აღნიშნული საბჭო ამჟამინდელი კომპეტენციით ვერ შეძლებს არსებული პრობლემების გადაჭრას და მისი დანერგვა რაიმე კონკრეტულ სიახლეს არ მოიტანს. ამიტომ, ჩვენი რეკომენდაციაა, სამხარეო საბჭოს უფლებამოსილების გაზრდა დარჩეს განხილვის საკითხად, რადგან ეს პირდაპირ კავშირშია ქვეყანაში დეცენტრალიზაციის ფასეულობების დამკვიდრებასთან; იმისათვის, რომ სამომავლოდ სამხარეო მმართველობა და გუბერნატორის თანამდებობა იყოს ეფექტური, საჭიროა, არსებობდეს ძალთა დამაბალანსებელი მექანიზმი, რაც კანონპროექტის თავდაპირველი ვერსიით გამყარებული იყო“, — აღნიშნა სამველიძემ პრეზენტაციისას.

რაც შეეხება საზოგადოებრივ და საუბნო საბჭოებს, რომლებსაც მოქალაქეთა ჩართულობა უნდა უზრუნველეყო და თვითმმართველობის კოდექსის პროექტიდან დროებით ამოიღეს; კვლევაში აღნიშნულია, რომ მასზე მუშაობა აუცილებლად უნდა გაგრძელდეს: „ვფიქრობთ, სოფლებში საზოგადოებრივი საბჭოების ჩამოყალიბება წარმოადგენს თვითმმართველობის უმთავრესი ამოცანის — სამოქალაქო ჩართულობის გააქტიურების მექანიზმს. რაც შეეხება უბნის საბჭოების შექმნას თბილისში, მიგვაჩნია, რომ ეს პრაქტიკა უფრო გააძლიერებდა ადგილობრივი თვითმმართველობის მექანიზმებს დედაქალაქში. ამ კუთხით მუშაობა უნდა გაგრძელდეს და მკაფიოდ განისაზღვროს, რა ფუნქციები და კომპეტენცია ექნება აღნიშნულ საბჭოებს მომავალში“, — აღნიშნა სამველიძემ.

თვითმმართველობების სამართლებრივ და დარგობრივ ზედამხედველობის საკითხთან დაკავშირებით, კვლევის ავტორები მიიჩნევენ, რომ უმჯობესია ამ პროცესში იუსტიციის სამინისტროს როლი გაიზარდოს: „კოდექსის ბოლო ვერსიაში თვითმმართველობის სამართლებრივი ზედამხედველობის კომპეტენცია ენიჭება საქართველოს მთავრობას. მას აქვს უფლება შეაფასოს მუნიციპალიტეტის მიერ საკუთარი უფლებამოსილების სფეროში გამოცემული ნორმატიული აქტები და მიიღოს შესაბამისი ზომები. თუმცა, უკეთესი იქნება იუსტიციის სამინისტროს როლი გაძლიერდეს სამართლებრივი ზედამხედველობის პროცესში — იუსტიციის სამინისტრო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უკეთ შეძლებს სამართლებრივი დასკვნის შემუშავებას და რეკომენდაციების მომზადებას, ვინაიდან მას აქვს შესაბამისი პრაქტიკა და მისთვის უფრო ადვილი იქნება ამ ფუნქციის შესრულება.“

პრეზენტაციის შემდეგ სამოქალაქო საზოგადოების, პოლიტიკური პარტიებისა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის დისკუსია გაიმართა. დისკუსიის საგანი თვითმმართველი ერთეულების ზრდა, ფორმირება, აღმასრულებელი ორგანოს პირდაპირი წესით არჩევა და უნდობლობის გამოცხადების საკითხები იყო.

დისკუსიის ერთ-ერთი მთავარი საგანი იყო, აგრეთვე, თვითმმართველი ერთეულების ფინანსური დამოუკიდებლობა და ქონების განკარგვა, სამხარეო და საზოგადოებრივი თვითმმართველობა.

რიგ საკითხებში მთავრობის წარმომადგენლები არ ეთანხმებიან კვლევის შედეგებს და აცხადებენ, რომ თვითმმარველობის რეფორმა კოდექსის მიღებით არ მთავრდება და პრობლემატური საკითხების გადაწყვეტას დრო სჭირდება; დაპირებები კი, რომელიც მათ საზოგადოებას მისცეს, ეტაპობრივად შესრულდება: „ის, რომ რაღაც დაიგეგმა და შესრულებული ჯერ არ არის, არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ შესრულდება. რეფორმა კოდექსის მიღებით არ დამთავრებულა. როდესაც საუბარია ქალაქებისთვის თვითმმართველი სტატუსის მინიჭებაზე, ამ ეტაპზე 7 ქალაქი დავამატეთ 5 თვითმმართველ ქალაქს და ეტაპობრივად, 2017-2018 წლამდე მოხდება სხვა ქალაქების დამატებაც.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტებში შტატების შემცირების საკითხს, რაც პრეზენტაციისას პრობლემად იქნა დასახელებული, ვიცით, რომ მუნიციპალიტეტებში არანორმალურად გაბერილი შტატებია; ამიტომ არის საჭირო დაბალანსება — საუბარია სტრუქტურულ ოპტიმიზაციაზე. კვალიფიკაციის ასამაღლებლად უნდა ჩატარდეს სპეციალური ტრენინგ-კურსები და ამის მიხედვით მოხდეს შტატების დაკომპლექტება. კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ყურადღება გამახვილდა, ზედამხედველობის ნაწილია, თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ ევროსაბჭოს ექსპერტების მხრიდან მასზე ყველაზე ნაკლები შენიშვნები იყო. გუბერნატორს ზედამხედველობის ფუნქცია აღარ აქვს, რასაც ხშირად ახსენებენ. ამასთან, აღვნიშნავ, რომ თებერვლის დასასრულისთვის გვექნება საგზაო რუკა, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ დეცენტრალიზაციისას. დონორებთან მიმდინარეობს შეჯერება და უახლოეს მომავალში გვეცოდინება, როგორ გავაგრძელებთ დისკუსიებს, შეხვედრებს და რა საკითხებთან დაკავშირებით“, — განაცხადა **საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა.**

შეხვედრაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს საპარლამენტო და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმაც: „ის დაპირება, რაც „ქართულმა ოცნებამ“ მისცა საზოგადოებას, რომ ორდონიანი თვითმმართველობა იქნებოდა, საერთოდ აღარ შესრულდება. ამ რეფორმით, ცვლილება მხოლოდ ის არის, რომ მერების და გამგებლების პირდაპირი წესით არჩევა მოხდება, რაც მისასალმებელია. თუმცა, პოლიტიკურ საკითხად რჩება საკრებულოს მხრიდან მათი გადაყენება.

ამასთან, კოდექსში შედის გუბერნატორის ინსტიტუტი, რომელიც ხელისუფლების „გამსუფთავებლად“ რჩება — თუ გუბერნატორი საკრებულოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება ბიუჯეტის საკითხში, მაშინ ამ გადაწყვეტილებას ბლოკავს. რაც შეეხება, მუნიციპალიტეტებში შტატების შემცირებას, ამას კატეგორიულად ვეწინააღმდეგებით. 12 ათასი ადამიანის გაშვებას აპირებენ და ცდილობენ, ეს კანონით გააკეთონ. ამასთან, წინასწარ ვამბობთ, რომ გუბერნატორთან არსებულ საკონსულტაციო საბჭოებს პარტიული შეკრებებისთვის გამოიყენებენ და ამას თავად კანონი დაავალდებულებს კოდექსის მიღების შემდეგ“, — განაცხადა შეხვედრაზე **საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელმა „ნაციონალური მოძრაობიდან“ ხათუნა გოგორიშვილმა.**

შეგახსენებთ, რომ თვითმმართველობის კოდექსი მეორე მოსმენით პარლამენტმა 25 იანვარს მიიღო და სულ მალე კოდექსის მესამე მოსმენით მიღება მოხდება.

**მოამზადა საქართველოს მონიტორინგის ცენტრმა (GMMC),**
**ფონდის — „ღია საზოგადოება — საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.**

**ტექსტში ამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ფონდის მოსაზრებებს.**

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

## გილოცავთ!



**მარიამ გუბელაძეს და ონისე ხორავას!**

ჩვენს საამაყო ახალგაზრდებს, უმშვენიერეს **მარიამ გუბელაძეს** და მის ღირსეულ რჩეულს, **ონისე ხორავას**, ვულოცავთ ოჯახის შექმნას. ვუსურვებთ ბედნიერ მომავალს, შვილთა სიმრავლეს და მარადიული სიყვარულით ტკბობას!

მთელი ცხოვრება ასეთი ლამაზები, ღიმილიანები და ბედნიერები ყოფილიყავით, თქვენს უსაყვარლეს ადამიანებთან ერთად.

უფალი იყოს თქვენი მფარველი!

**რუსიკო ბებო და გია ბიძია;**
**ნატო მამიდა, გივი ძია,**
**ნინა ბებო და რეზიკო**

## კვირის ჰოროსკოპი

**ვერძი:** შრომისმოყვარეობას და სიზუსტეს დაუმატეთ ორიგინალურობა. თქვენი ფარული შესაძლებლობა დროულად და წარმატებით გამოიყენეთ.

**კურო:** ნუ შეეცდებით იოლი პასუხების მოძებნას. გზავნილი შეიძლება დაფარული იყოს იქ, სადაც თქვენ არ გინდათ დანახვა. დაძაბეთ ყურადღება და შეეცადეთ, გამოიყენოთ მიღებული ინფორმაცია თქვენს სასარგებლოდ.

**ტყუპები:** შემოქმედებითად მიუდექით და შეეცადეთ იდეები, რომლებიც გეწვევათ არ უგულვებელყოთ.

**კირჩხიბი:** არ გააფორმოთ ხელშეკრულებები, ახალი ინიციატივების დრო მალე დადგება, შეეცადეთ მოითმინოთ. ნუ შეეცდებით ვინმესთვის რამის დამტკიცებას, თქვენ არ მოგისმენენ.

**ლომი:** ქედმაღლობა ვერ დაგეხმარებათ საქმესა თუ ადამიანებთან ურთიერთობაში. შეეცადეთ, თქვენს თავს გვერდიდან შეხედოთ და განთავისუფლდეთ ძველი ჩვევებისაგან.

**ქალწული:** პრაქტიკულად შეუძლებელია რაიმეს მიღება ზეწოლის და კონკურენტული ბრძოლის გარეშე. თუმცა, ეს თქვენი სტილი არ არის, განსაკუთრებით ცხოვრების ამ პერიოდში.

**სასწორი:** საკუთარი გადაწყვეტილების პრაქტიკულად რეალიზებამდე ჯერ პარტნიორთან ურთიერთობის გარკვევა, აქტიური საქმიანობა მოგიწევთ. შესანიშნავი პირობები გექნებათ გრძელვადიანი გეგმის შესრულებისთვის.

**მორიელი:** თავდაჯერებული იქნებით, ამიტომ ნებისმიერი სიტუაციიდან მოძებნით გამოსავალს. მოსალოდნელია აქტიური საქმიანობა, რთული დავალება.

**მშვილდოსანი:** სარისკო ფინანსური ოპერაციების დროა. ინტერესების სფერო და ბრძოლის არენა გახდება ფული, ქონება, ბუნებრივი რესურსები ან მნიშვნელოვანი სოციალური ობიექტები.

**თხის რქა:** დაზღვეული არ ხართ დავის და კამათისგან. ოჯახურ ცხოვრებაში მოსალოდნელია საბედისწერო მოვლენები.

**მერწყული:** უარი თქვით სასწრაფო და დაძაბულ საქმიანობაზე. ყოველდღიური საქმეები კი შეასრულეთ ინდივიდუალურ რიტმში.

**თევზები:** დაწყებული ბობოქარი მოვლენები გამოიწვევს ფსიქოლოგიურ და მატერიალურ სტაბილურობას ახლობელ ადამიანებთან ურთიერთობაში.

# ქაღალდის ხელოვნება ქუთაისის №8 საჯარო სკოლაში

**ქაღალდის ხელოვნებას „ორიგამს“ უწოდებენ, რომლის ფესვები იაპონიაშია. მართალია, ქაღალდი პირველად ჩინეთში გამოიგონეს, მაგრამ ხელოვნების დატვირთვა მას იაპონელებმა მისცეს.**



ვერონიკა ხანთაძე



მარიამ ლოსაბერიძე







ქაღალდისგან გაკეთებულ ფიგურებს იაპონელები რიტუალურად აკავშირებდნენ ღმერთებთან. მაგალითად: ერთ-ერთი რიტუალით ქაღალდისგან აკეთებდნენ პატარა კოლოფს (სანბო), რომელშიც დებდნენ თევზის ნაჭრებს და ბოსტნეულს, ამ კოლოფით მათ შინტოისტურ ტაძრებში შესაწირი მიჰქონდათ. სწორედ ამან განაპირობა იაპონელებში ქაღალდის ფიგურების და რელიგიის მისტიური კავშირი. რასაც მოჰყვა ისეთი უნიკალური და სფეციფიკური ხელოვნების ჩამოყალიბება, როგორიც არის „ორიგამი“.

მე-12 საუკუნიდან „ორიგამი“ საიმპერატორო კარზეც იკავებდა ადგილს. განათლებულად ითვლებოდა ის, ვინც „ორიგამის“ ხელოვნებას კარგად ფლობდა. მაგალითად: ხელოვნების ამ დარგით შექმნილი ფიგურები: პეპელა, ჩიტი და ყვავილის ფორმა – მეგობრობის და სიყვარულის ჟესტს ნიშნავდა. ამით მათ უადვილდებოდათ გრძნობების გამოხატვა.

„ორიგამმა“ რელიგიური დატვირთვაც მიიღო. ყველაზე პოპულარული ფიგურა იაპონური „წერო“ (Tsuru) „ორიგამის“ სავიზიტო ბარათად არის ქცეული. იგი ბედნიერების და დიდხანს სიცოცხლის სიმბოლოა. იაპონელები ამბობენ, რომ, თუ გააკეთებ 100 ცალ Tsuru „ორიგამს“ და სურვილს ჩაუთქვამ, ის აუცილებლად ასრულდება.

XX საუკუნეში ორიგამით დაინტერესება სხვა ქვეყნებშიც შეიგრძნობა, მაგალითად: დიდ ბრიტანეთში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში იხსნება ორიგამის ხელოვნების კერები – სკოლები, დაწესებულებები და კავშირები. რაც შეეხება ჩვენს ქვეყანას, ხელოვნების ეს დარგი ჩვენთან, მართალია, ნელ-ნელა იკიდებს ფეხს, მაგრამ დიდი მოწონებით სარგებლობს და დაინტერესებაც დიდია.

ქაღალდის ხელოვნებისადმი დიდი ნიჭი და დაინტერესება გამოიჩინეს სსიპ ქალაქ ქუთაისის №8 საჯარო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლეებმა მარიამ ლოსაბერიძემ და ვერონიკა ხანთაძემ. ისინი მონდომებითა და ნებისყოფით ქმნიან თითოეულ დეტალს და მათი შერწყმით „სულს უდგამენ“ ფიგურებს. მათ მიაჩნიათ, რომ დრო, შრომა, ნებისყოფა და ცდომილების გარეშე მუშაობა ის აუცილებელი თვისებებია, რომლებმა ისინი დასახულ მიზნამდე მიიყვანა. მათ შექმნეს კოლექციები, რომლებშიც მრავლადაა სხვადასხვა ზომისა და ფორმის ლარნაკები, ყვავილები, წეროები, ცხოველთა გამოსახულებები, აბსტრაქტული ხასიათის ფიგურები. განსაკუთრებული სიყვარულით იაპონურ წეროებს აკეთებენ, როგორც ბედნიერებისა და სიცოცხლის სიმბოლოს. გადაწყვეტილი აქვთ, შექმნან 100-100 წერო, შემდეგ ჩაიფიქრონ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სურვილი, რაც, მათი აზრით, უეჭველად შეუსრულდებათ. ხელმარჯვე გოგონები ამ სულისკვეთებით აგრძელებენ მუშაობას.

2014 წლის დადგომასა და ნათლისღების დღესასწაულს მიუძღვნეს მარიამმა და ვერონიკამ გამოფენა, რომელიც პედაგოგ მზია ზარნაძის ხელმძღვანელობით სკოლის ცენტრალურ ფოიეში მოაწყვეს. გამოფენამ დიდი მოწონება დაიმსახურა. მოსწავლეები, მშობლები და პედაგოგები ყველა ერთნაირად მოიხიბლა მათი ხელოვნებით. სკოლის დირექტორმა რეზო სირბილაძემ მადლობა გადაუხადა „პატარა ხელოვანებს“, მათ მშობლებს ხელშეწყობისათვის და ისურვა, რომ მარიამისა და ვერონიკას „შედევრებს“ უფრო დიდი საგამოფენო დარბაზები დაემშვენებინოს.

psnews.ge




შეადგინა ალეკო ნემსაძემ

## გილოცავთ!



ჩვენს კოლეგას,
„ახალი გაზეთის“ მთავარ რედაქტორს **ია ბობოხიძეს** და მის მეუღლეს **ვახო ინასარიძეს** ვულოცავთ ვაჟიშვილის, **გიორგის** დაბადებას.
ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ღირსეულ ქართველობას ვუსურვებთ პატარა გიორგის მის მშობლებთან ერთად!

## ვინ არის ფოტოზე?



## რას დაარქმევდით?



გიგი უგულავა

დაგვიკავშირდით:

- (0 431) 24-45-46, 24-82-25.
- psnews27@gmail.com

## კროსვორდი

**ჰორიზონტალურად:** 3. ბერძნული ცეკვა; 5. სუბტროპიკული კურკიანი ხილი; 6. ქალაქი ნიგერიაში; 8. მადონას ერთ-ერთი ქმარი ... რიჩი; 9. აიეტის ქალიშვილი; 11. შინაური ფრინველი.
**ვერტიკალურად:** 1. ნიდერლანდების კუნძული სამხრ. ამერიკასთან; 2. მდინარე ერაყში ... ელ—არაბი; 3. თავშესაფარი თხრილი ფრონტის ხაზზე; 4. ქვეყანა აზიაში; 7. ქალაქი და ნავსადგური იტალიაში; 10. მწვერვალი საბერძნეთში (2456 მ.).

